# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 სექტემბერი, 2012 წელი.

№173 (7049)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# ბიძინა ივანიშვილი:
# მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!





კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა 9 სექტემბერს თელავში გამართულ აქციაზე

6-7

მოგესალმებით ყველას!

მოგესალმებით, ჩემო კახელებო!

მოგესალმებით მამაცო და ღირსეულო ადამიანებო!

მინდა მივესალმო თელავს, გურჯაანს, ახმეტას, ყვარელს, სიღნაღს, ლაგოდეხს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს! მივესალმები აქ მცხოვრებ თუშებსა და ხევსურებს, ზეზვა გაფრინდაულისა და ნადირა ხოშარაულის ღირსეულ მემკვიდრეებს;

მივესალმები პანკისელ ქისტებს, მრავალჭირგამოვლილ, ამაყ ხალხს;

მივესალმები ჩვენს აზერბაიჯანელ ძმებს, ყარაჯალელებს, იორმუღანლოელებს, კაბალელებს, მეფე ერეკლეს ერთგულ მეომართა შთამომავლებს;

მივესალმები ჩვენს სომხებს, გამრჯე და მეურნე ხალხს, საქართველოს პატრიოტებს.

დღეს აქ, პატარა კახის სატახტო ქალაქში, განსაკუთრებული სიმძაფრით ვგრძნობთ კახელი კაცის გაუტეხელ ძალასა და სულიერ სიმტკიცეს, რომელმაც არაერთხელ იხსნა ქართლ-კახეთიცა და მთელი საქართველოც სრული ფიზიკური და სულიერი განადგურებისაგან.

სწორედ კახელ კაცს, ბახტრიონის გმირს, საქართველოს უმამაცეს მხედარს, ბიძინა ჩოლოყაშვილს ეკუთვნის შთამომავლობისათვის ანდერძად დანატოვარი სიტყვები:

„...ძმებო, ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი უნებლიეთ დაბადებიდანვე თან გვახლავს... და რაკი უნდა მოვკვდეთ, ბარემ მოვკვდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის“. დაუსრულებელ, უთანასწორო ბრძოლებში ქართლ-კახეთის მეფეებს მხარში ედგა ხმალამოღებული მოსახლეობა, განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა.

ეს იმიტომ, რომ ხალხი ხედავდა მეთაურების საარაკო სიმამაცეს, თავდადებასა და უნარს, უარი ეთქვათ პირად კეთილდღეობაზე სამშობლოს სასიკეთოდ.

სამარცხვინოა, როდესაც ახლა ხალხის ფულით გაზულუქებული და ფუფუნებაში მცხოვრები ხელისუფალი ეტოლება და ეპაექრება ჩვენს სახელოვან მეფეებს.

აქ, თელავში, შემორჩენილია მეფის სასახლე, სადაც დაიბადა და აღესრულა კიდეც სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პატარა კახი.

ეს სასახლე, თავისი ზომითა და მოწყობით ბევრი დღევანდელი თანამდებობის პირის სათავსოსაც კი ვერ გაეჯიბრება.

ამიტომ ხომ არ განიზრახა განდიდების მანიით შეპყრობილმა ხელისუფლებამ პატარა კახის სასახლისათვის კიდევ ერთი სართულის მიმატება?

ისტორიის გადაწერა და დამახინჯება ხომ მათი ჩვეული საქმიანობაა. მაგრამ ასეთი საქმიანობა, ხალხისა და ქვეყნის წარსულის გადაკეთება, ყველა დამპყრობლის ნაცადი მეთოდია.

იმ მძიმე ჟამს, მე-19 საუკუნეში, როდესაც რუსეთმა თითქმის მიაღწია ჩვენში ეროვნული თვითშეგნების მოშლასა და გადაგვარებას, ისევ კახეთიდან, ყვარლის მთებიდან გაისმა ილია ჭავჭავაძის მძლავრი ხმა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. საუბედუროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის ოცი წლისთავზე, ჩვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მიზეზით, ილიას ეს გაფრთხილება კვლავ განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოში.

იხ. 6-7 გვ.




# არჩევნების უსაფრთხოება

5

## ვლადიმერ ვახანიას საგანგაშო განცხადება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შესახებ

# წინ, საქართველო!

## დიდი ფეხბურთი თბილისში

10



ინფორმაცია

## „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს“

ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ ლიდერები ამერიკის უწყებათაშორისი დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. დელეგაციას დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და შრომის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომას მელია ხელმძღვანელობს.

შეხვედრაზე ქვეყანაში შექმნილ წინასაარჩევნო გარემოზე ისაუბრეს.

„თქვენ ნახეთ როგორი წარმომადგენლობითი იყო დელეგაცია. თქვენ იცით, რომ დელეგაციის წევრები წარმოგზავნილები არიან პრეზიდენტ ობამასა და სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონისგან. დელეგაციის ძალიან შთამბეჭდავი შემადგენლობა იყო. თვითონ ფაქტი, რომ შეხვედრა შედგა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს გამოხატავს და ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ დიდ ყურადღებას აქცევს აშშ, პირადად პრეზიდენტი და ქალბატონი კლინტონი, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. დელეგაციის წევრები კარგად იცნობენ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. ჩვენც მათ დავეხმარეთ და დამატებითი ფაქტები მივაწოდეთ და შევთანხმდით, რომ ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს“, — განაცხადა ივანიშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

დელეგაცია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, თავდაცვისა და იუსტიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებისაგან არის დაკომპლექტებული.

ვიზიტის ფარგლებში, ტომას მელია შეხვედრებს ოპოზიციურ პარტიებთან გამართავს. ის ასევე მთავრობის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს შეხვდება.

ყრილობა ნაცურად

# ჩაზნექილი სკამები წითელ შაბათობაზე



შაბათს ნაცმოძრაობის ყრილობებზე გადაწითლდა ამერ-იმერი. მეწამული დროშებისა და პერანგების ცეცხლი ბრიალებდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ამბროლაურში, თელავში, გორში.. ახალციხეში... ძალას უჩვენებდნენ „ქართულ ოცნებას“...

წითელი ზეიმი იყო; როგორც ადრე, ოდესღაც, უკვე მივიწყებულ და უარყოფილ საქართველოში იყო ხოლმე წითელი 7 ნოემბერი.

ოღონდ, მაშინ „ჩვენ არ გვიყვარდა საქართველო“, დღეს კი სიყვარულის წარღვნაა. „მე მიყვარს საქართველო!“ — გაჯერებს ყველა, ქალიც, კაციც, ბავშვიც პერანგებზე წარწერილი ფიცმაცურით.

ვითომ არ გვიყვარდა? არა, არ გიყვარდათო, გვეუბნებიან, როგორც არ უყვართ დღეს იმათ, ვისაც წარწერიანი წითელი პერანგები არ აცვიაო.

ან რა საყვარელი იყო ჯერ კომუნისტების და მერე შევარდნაძის საქართველო: „ბნელეთის, ქურდების, მექრთამეების, ვირთხების საქართველოო“; დღევანდელი კი — განათლებული, განათებული, გზაგაყვანილი, უკორუფციო, უქურდებო, ევროპა-ამერიკასთან დამაჯერებლად კუდგადაბმული საქართველო თუ არ გიყვარს, უბრალოდ მტერი ხარო!

ერთი სიტყვით, იმ დღეს წითელი აქციების (ყრილობების) შაბათობა იყო. ზეიმს და სიხარულს რა სჯობს, მაგრამ აშკარად გეცემოდა თვალში არა უბრალოდ ზეიმი, არამედ საბრძოლო ზეიმი. ხაზგასმულად ამბობდნენ ორატორები: პირველი ოქტომბერი ახალი დიდგორიაო“ (ქუთაისი — აკაკი ბობოხიძე), „ოპოზიცია — მეხუთე კოლონააო“ (ზუგდიდი — როლანდ ახალაია), „თუ ბათუმის მრავალსართულიანი შენობები გაღიზიანებს, მტერი ხარო“ (ბათუმი — პრეზიდენტი)...

მტრის ძიებიდან მტრის განადგურების მოწოდებამდე კი ერთი ნაბიჯია.

მოკლედ ეს იმდენი სიწითლე ცუდად გენიშნებოდა — ვაითუ, უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის მაცნეა...

პრეზიდენტის პირდაპირ ზღვარდაუდებელმა, დაუშრეტელმა ენერგიამ გააოცა მხარდამჭერიც და არამხარდამჭერიც. ნაცმოძრაობის ოზურგეთ-ზუგდიდ-ქუთაის-გორის ყრილობათა მარათონი ოლიმპიური სტაიერის სიყოჩაღით გაირბინა და ყველგან მოასწრო ახალი ეპოქის — ნაციონალების უვადო ზეობის დამკვიდრების მილოცვა. მართალია, მისი გამოსვლები შინაარსით და პათოსით ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ უმაღლეს რეგისტრში აწეული ხმა ერთობ დიდ ჯაფას აყენებდა მის იოგებს და დღის ბოლოს აკი ორთქლმავალივით შიშინებდა.

როცა გაიკვირვებდა, ოზურგეთში ამდენი ხალხი ამ მოედანზე ჯერ არ მინახიაო გიყურებთ და მიხარია რა მაგრები და ლამაზები ხართ, გურულებოო, აჭარლები, იმერლები, მეგრელებიც ერთობლივად უკრავდნენ ტაშს, რადგანაც ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდშიც, ისევე გაიკვირვებდა ხოლმე. იმედი მაქვს მტრებს არ გაახარებთო. მტერში, კი, რა თქმა უნდა, „კოლმეურნეობის თავმჯდომარეს“ და მის მომხრეებს გულისხმობდა. პრეზიდენტმა ჩვეულებისამებრ მაგარ-მაგარი სიტყვებით „შეამკო“ ოპონენტები, ძალზე გამჭვირვალედ და ისიც მიანიშნა (გამგებმა გაიგოს) „უნიჭო შემსრულებლები“, „ჯოჯოები და მუმიები“ მათ მხარდასაჭერად კონცერტებს მართავენო“ (მქუხარე ტაში!).

ამ წითელ შაბათობებზე ორი არსებითი სიახლეც იყო.

პირველი, ჩვენმა ვარდოსანმა რევოლუციონერებმა უმალ აიტაცეს ამერიკული ნოუ-ჰაუ. მოგეხსენებათ, ახლა იქ პრეზიდენტის არჩევნებისთვის ემზადებიან და დემოკრატები და რესპუბლიკელები შუბებს ამტვრევენ ერთმანეთს. დემოკრატთა ყრილობაზე ბარაკ ობამას მხარდასაჭერად მისი ცოლი მიშელი გამოვიდა დიდი წარმატებით. ჰოდა, ნაციონალური შაბათობის ორგანიზატორებმაც უმალ ჩართეს საქართველოს პირველი ლედი ღონისძიებებში. სხვათა შორის, სანდრა-ელისაბედ რულოვს-სააკაშვილმა ზუგდიდელები და ქუთაისელები დაარწმუნა მათს მიმართ თავის უცვლელ და მგზნებარე სიყვარულში; ისიც უამბო, რომ, როდესაც ამ 15 წლის წინათ ჩამოვიდა, მშობლებმა რა გულისკანკალით გამოუშვეს საშიშ (სიბნელე, სიცივე, უგზოობა, კრიმინალური სამყაროს თარეში) საქართველოში. დღეს კი აქ მთელი მისი სანათესაო სიხარულით და სიამოვნებით ჩამოდის (რატომაც არა!). ზუგდიდში აუდიტორიას რამდენიმე მეგრული წინადადებითაც მოეფერა. მოგეხსენებათ, ასეთი ეგზოტიკური ჩართვები საქართველოში ძალიან მოსწონთ. მახსოვს, რა ტაში ატყდებოდა ხოლმე, როცა თბილისის ცირკში კლოუნი მარილისთვის „ჩაუქართულებდა“ ხოლმე: „შალიკო, საბურტალოში!..“ როგორც ჩანს, ასეთი „ჩართვები“ ზოგიერთთათვის ისევ მუშაობს.

მეორე. მიხეილ სააკაშვილმა მტრის — ოპოზიციის ახალი მზაკვრობის გამხელით გააოცა მსმენელი. ასჯერ ნათქვამი, ოპოზიციას „საქართველოს დაბრუნება უნდა სიბნელეში, გუშინდელ დღეში, რუსეთის მონობაშიო, რომ გაიმეორა, ახალი „ნიუსიც“ მოგვაწოდა, **უნდათ საქართველო ჩაზნექილ სკამებზე დააბრუნონო.**

მართალია, ვერ გავიგე რას ნიშნავდა ქვეყნის ჩაზნექილ სკამებზე დაბრუნება, მაგრამ ძლიერად კი არის ნათქვამი, მტერი უფრო მეტ მზაკვრობას ვერ მოიფიქრებდა; მარტო ამისთვის ეკუთვნის მას ომის გამოცხადება, რამ მოაფიქრებინა, როგორ გაბედა, ამ სიმდაბლემდე როგორ დაეშვა! თურმე ზის ეს საზიზღარი კოალიცია „ქართული ოცნება“ და ჩაზნექილ სკამებს გვიქექავს, რასაც ამ ცხრა წლის წინათ ძლივს დავაღწიეთ თავი!

და მაინც რატომ „ჩაზნექილი სკამები?. მერე გამახსენდა: ბათუმში „ქართული ოცნების“ ბოლო ღონისძიების დროს ახალი ბათუმის უცხო იერსახით შეწუხებულმა ერთმა მხატვარმა თქვა, ძველი ბათუმი მენატრება, ბულვარის ჩაზნექილი სკამებიო. ეს დაიხვია ხელზე პრეზიდენტმა და დაარტყა, ყველა ახლის და სასიკეთოს მოძულეს.

ასეა თუ ისე, ოპოზიციის მიერ ჩაზნექილ სკამებზე ოცნება და მასზე ქვეყნის დაბრუნებაზე ფიქრი სამშობლოს ღალატთან არის გაიგივებული და შენ იხითხითე თუ გინდა. ის კი არა, ჩაუზნექავიც უკან რომ დაგრჩება, მერე მოხვალ გონს!

სანდრო ალექსიძე



## საარჩევნო რეგისტრაციის გავლა დამატებით 12 და 13 სექტემბერს შეეძლებათ

**საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საარჩევნო რეგისტრაციის გავლა დამატებით 12 და 13 სექტემბერს შეეძლებათ. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა.**

— ამისთვის საჭიროა, რომ ისინი გამოცხადდნენ საზღვარგარეთ შექმნილ უბნებზე და წარადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, — განაცხადა აზარაშვილმა.

მისივე თქმით, ასევე იმ ამომრჩევლებმა, რომლებიც საკონსულო აღრიცხვაზე იყვნენ და არჩევნების დღეს საქართველოში იქნებიან, საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის მოთხოვნით სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ სააგენტოს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს უნდა მიმართონ.

ინტერპრესნიუსი

ბრიფინგი

## მაია ფანჯიკიძე: ეს ხელოვნურად დადგმული დებატები იყო

**ხელისუფლება „ქართული ოცნების“ მიმართ ქვების სროლის პოლიტიკას აგრძელებს, — განაცხადა ტრადიციულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ. მისი თქმით, თელავში აქციის დასრულების შემდეგ ინციდენტი მოხდა — უცნობმა ოცმა პირმა პანკისის ხეობიდან გადმოსული „ქართული ოცნების“ აქციის სამი მონაწილე სცემა.**

„აქციის დასრულების შემდეგ 22 წლის ანზორ ბორჩაშვილი, 25 წლის ხიზირ ქუშანაშვილი და 40 წლის ხიზირ გაურგაშვილი შინ ბრუნდებოდნენ. უცებ ატყდა ჩხუბი. ოცამდე ახალგაზრდა მათ თავს დაესხა და სცემეს. მათ სხეული დაუზიანდათ, რის გამოც სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, რამდენიმე წუთის შემდეგ საავადმყოფოში თელავის რაიონის პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს დაკითხვაზე, ანუ პოლიტიკური ნიშნით დევნა „ქართული ოცნების“ წევრების მიმართ გრძელდებაო.

პრესსპიკერის თქმით, უცნობია, თუ რა ბრალდება წაუყენეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს.

**„თელავის შსს რაიონულ სამმართველოში კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუ რა მუხლით აღიძრა საქმე და რა ბრალდებით დააკავეს პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ და აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის



მდგომარეობის გაუარესების გამო ხიზირ ქუშანაშვილი ისევ საავადმყოფოში დააბრუნეს.

ამ ფაქტის გამო „ქართულმა ოცნებამ“ უწყებათა შორის კომისიას უკვე მიმართა. **„ეს ფაქტი უწყებათშორის კომისიაში გაგზავნილია და პასუხს ველოდებით“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

პრესსპიკერის შეფასებით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებს შორის გამართული დებატები ხელოვნურად დადგმული იყო.

**„გუშინდელი დებატები არ მინახავს, თუმცა მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შემიძლია ვთქვა, რომ მან ძალზე კომფორტულ გარემოში ჩაიარა და ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ძალები, რომლებიც რეალურად ერთ მხარეს წარმოადგენდნენ. მათ იკამათეს რაღაც თემებზე, თუმცა ეს იყო აბსოლუტურად ხელოვნურად დადგმული დებატები, რომელსაც, ალბათ, მოსახლეობისთვის სიცხადე არ შეუტანია იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ რას აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ბიძინა ივანიშვილი კი ხელისუფლებას სთავაზობდა ნამდვილ, ცოცხალ დებატებს“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ. მისივე განმარტებით, ივანიშვილს დებატებში მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს, უბრალოდ პასუხი შეკითხვაზე ვერ მიიღო, არის თუ არა ვანო მერაბიშვილი პრემიერობის ისეთი კანდიდატი, რომელიც რეალურად ქვეყნის ყველაზე გავლენიან პირს ნიშნავს.

**„ჩვენ რომ ამ შეკითხვაზე „ნაციონალური მოძრაობისგან“ პასუხი მიგვეღო, ბიძინა ივანიშვილისა და ვანო მერაბიშვილის დებატები პრობლემა აღარ იქნებოდა“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

თამარ შაიშმელაშვილი

# დანიშნულ ბიზნეს-პოლიტიკოსთა სინთეზური სია

## ნაციონალების საარჩევნო ნუსხა

**„ნაცმოძრაობის საარჩევნო პარტიული სია გახლავთ კლანურ-მასონური ტრადიციების სრული დაცვით შედგენილი პარტიული დოკუმენტი, წარდგენილი ქართული ამომრჩევლისათვის.**

**კანდიდატთა აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირ თუ ირიბად არის დაკავშირებული პირადი ბიზნესის მართვასთან და დაცვასთან. ქვეყნის ბიზნესის 90% სწორედ ამ წრეების ხელშია.**

**ხაზი უნდა გაესვას ფაქტს, რომ ეს არ არის ინტელექტუალური, მაღალტექნოლოგიური, მცირედენერგოტევადი, ან ინოვაციური ბიზნესი. ის მთლიანად საყოფაცხოვრებო სფეროშია და ემსახურება რიგით მოქალაქეთა ჯიბიდან ფულის ამოტუმბვას. სრულად კონტროლდება ყველა სფერო, დაწყებული სამარშრუტო ტაქსებით, ციხეებში სავაჭრო წერტილებით, დატარებითი და წვრილი ვაჭრობით და დამთავრებული სამთომოპოვებითი მრეწველობით. ამასთან, ეს ბიზნესი მთლიანად გაუმჭვირვალე და ბნელით მოცულია.**

**„თავისუფლების ინსტიტუტში" აღზრდილი, ქართული ცნობიერებისათვის უცხო იდეოლოგიის პოლიტიკოსები და ქართველი ხალხის გაღარიბებით გამდიდრებული ბიზნესმენები წარმოადგენენ „ნაცმოძრაობის" საარჩევნო სიის ბირთვს.**

155-კაციან სიაში ამჟამინდელი პარლამენტის 65 წევრია, ანუ 42%-მა ისე კარგად შეასრულა მოვალეობა, რომ მმართველი პარტია არ აპირებს მათ შეცვლას. ამ 65 წევრს შორის არიან სახეები, რომლებიც თითქმის 15-20 წელია, სხედან საპარლამენტო სავარძლებში, ანუ, „მდაბიურად" რომ ვთქვათ, ზიან და ზიანს აყენებენ ქართულ სახელმწიფოს. „მოქკავშირის", დიახ „მოქკავშირის" გალერეას ღირსეულად წარმოადგენენ **მიხეილ მაჭავარიანი** – პარტიის უცვლელი გენერალური მდივანი სააკაშვილის შემდეგ; მარად ვიცე-სპიკერი **გიგი წერეთელი, გიორგი ბარამიძე** და **ხათუნა გოგორიშვილი,** რომელთაც ყველა ადამიანური საზომით ნაცმოძრაობისადმი მსახურება უნდა შეეწყვიტათ. აღარაფერს ვამბობთ ყველასათვის ცნობილ მათ წვლილზე არჩევნების ტოტალურ გაყალბებებში. ასეთთა ჩამოთვლის გაგრძელება კიდევ შეიძლება. სია, რომლის პირველი ნახევარი დღევანდელი დეპუტატები და მინისტრებია, მეტყველებს, რომ 1992 წლიდან ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ შეცვლილა.

თითქმის ყველა პარტიის საარჩევნო სიაში გრაფაში – „თანამდებობა" – კანდიდატთა უმრავლესობას მითითებული აქვს „უმუშევარი". გამონაკლისს არც ნაცმოძრაობის სია წარმოადგენს. მხოლოდ პირველ მესამედში 14 „უმუშევარია", ანუ ის პირი, რომელმაც სიის შედგენამდე ორი დღით ადრე „დატოვა" სამსახური უკეთესის, ან იგივეს შენარჩუნების საპრეზიდენტო გარანტიით. ამ 14 „უმუშევრისაგან" – 7 მინისტრი და მინისტრის მოადგილეა, ორი – გუბერნატორი, ერთი – ქალაქის მერი და ერთიც 85 წლის პენსიონერი, რომელიც იმავდროულად ახლანდელი და მომავალი პარლამენტარის მამაა.

„უმუშევართა" სიაში ბრძანდებიან მინისტრები და მოადგილეები: **რამაზ ნიკოლაიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, კობა სუბელიანი, ანდრია ურუშაძე, გიორგი ვაშაძე, გიორგი კარბელაშვილი;** გუბერნატორები: **გიორგი ღვინიაშვილი** და **დავით გაგოშიძე** და ა.შ. მოცემული სიისა და მათი ოჯახების არც ერთმა წევრმა არ იცის, რას ნიშნავს უმუშევრობა ტოტალური უმუშევრობის ქვეყანაში. ასეთი უზადრუკი კომუფლიაჟით იმედია ამომრჩეველს ვერავინ შეიყვანს შეცდომაში.

საპარლამენტო სიაში შეყვანილია 21 კანდიდატი, რომლებიც ამჟამად ასრულებენ სხვადასხვა საკრებულოს დეპუტატისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლის მოვალეობას.

სულ უბრალო გაანგარიშებით ჩანს, რომ 65 ამჟამინდელი პარლამენტარის, 14 უმუშევარი მინისტრისა და გუბერნატორის, 21 აპარატის თანამშრომლის ჯამი – 100 პიროვნება გახლავთ ადამიანები, რომლებმაც განვლილ პერიოდში ნაციონალების ყველა „სიკეთე" მოუტანეს და უფრო მეტის მოტანას უპირებენ ქართველ ხალხს.

და, ასეთ **სიაში მხოლოდ სამია მეცნიერი.** მათგან საზოგადოებისათვის ყველაზე ცნობილი ბატონი **ლევან თარხნიშვილია,** რომელიც, ალბათ, ცესკოს თავმჯდომარეობის დროს მთავარ გამყალბებლად მუშაობისას დამსახურებისთვის შეიყვანეს სიაში. იმედია, ამ მეცნიერებზე თავიანთ აზრს აკადემიური წრეები გამოხატავენ.

„ნაცმოძრაობის", პირადად პრეზიდენის ინიცირებით შემცირდა პარლამენტაროზის მსურველთა ასაკი. სამი ახალგაზრდა კანდიდატისაგან, რომელთაც ძველი კანონმდებლობით არ ექნებოდათ დეპუტატობისათვის ბრძოლის უფლება – ერთი, **მარიამ საჯაია** საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი „ნაციონალი" დეპუტატის – **ნაზი არონიას** ქალიშვილია; ხოლო მეორე, **თინათინ ბოკუჩავა,** პირნათლად ასრულებდა ქალბატონ **ნათია მოგელაძის** სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობას, ანუ სამსახურებრივად იყო დაკავშირებული პარტიების მიმართ გატარებულ ნაცისტურ რეპრესიებში.

გრძელდება ოჯახური შეკრული წრის ტრადიციები. **გაბაშვილების** და **კუბლაშვილების** უმძლავრეს კლანებში მატებაა. პარლამენტარ **ხათუნა ოჩიაურს** სურს მხარი დაუმშვენოს 85 წელს მიღწეულმა ღვაწლმოსილმა მამამ, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ნაცვლად შემოქმედებითი წარმატებებით ხალხის გახარებისა, მხოლოდ სააკაშვილის გულს ახარებს ფრიად რეაქციული განცხადებებით. ოჯახურ-კლანური ურთიერთობების მკაცრი სისტემაა აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. მაგრამ ეს უკვე სხვა დროს სასაუბრო მონათესავე თემაა.

იხ. 4 გვ.

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

შპს „ბორჯომიგაზი"

საცალო მომხმარებელზე მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცის 2013 წლისათვის

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი ელ.ფოსტა | საცალო მომხამარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხწდეით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „ბორჯომიგაზი" | ქ. ბორჯომი, სტალინის ქ. 98 | 0(367) 223450<br>borjomigazi@gmail.com | საყოფაცხოვრებო 3 000 000<br>არასაყოფაცხოვრებო 2 800 000 | საყოფაცხოვრებო 30,619 - 42,737<br>არასაყოფაცხოვრებო 57,144 - 67,398 |

ინფორმაცია

## სვანეთში დაკარგული პოლონელი ტურისტის ცხედარი ენგურის პირას იპოვეს

**შსს-ს ინფორმაციით, სვანეთში ერთი თვის წინათ დაკარგული პოლონელი ტურისტის ცხედარი იპოვეს. „პოლონეთის მოქალაქის ანა მაგდალენა მოძელევსკას გვამი ნაპოვნია მდინარე ენგურის პირას. სავარაუდოდ, გვამი მდინარემ გუშინ გამორიყა. ანა მოძელევსკა მეგობართან ერთად იმყოფებოდა მესტიის რაიონში. 18 აგვისტოს ისინი ნასვამ მდგომარეობაში უშგულის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ, რა დროსაც ანა მოძელევსკა მდინარეში ჩავარდა. მისი დაკარგვისთანავე დაიწყო სამძებრო-სამაშველო სამუშაოები, თუმცა მის პოვნას ხელს კლიმატური პირობები უშლიდა.**

**არსებული ინფორმაციით, თბილისში დაღუპულის ოჯახის წევრებს ელოდებიან. ამოცნობის პროცედურის შემდეგ გარდაცვლილს ვარშავაში გადაასვენებენ.**

## საპატრულო პოლიციის ორი თანამშრომელი დაიღუპა

**საქართველოს შს სამინისტროს ცნობით, ავარიას ემსხვერპლნენ უფროსი ლეიტენანტი მანუჩარ ქორიშვილი და უმცროსი ლეიტენანტი ლევან ნანდოშვილი.**

**არსებული ინფორმაციით, ავტოავარია ლილოს დასახლებასთან მოხდა.**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილების ოჯახებს.**

ინტერპრესი

# დანიშნულ ბიზნეს-პოლიტიკოსთა სინთეზური სია

(მესამე გვერდიდან) **ძმები ახალაიების** გამზრდელ მამას სამეგრელოს საზღვრებში უკიდეგანო საპროკურორო თარეში აღარ აკმაყოფილებს და საპარლამენტო სავარძელში გადაჯდომა სურს, მხოლოდ ჯერ უცნობია ახალი პარლამენტის შენობაშიც გაიყვანს პირად გვირაბს და ამოთხრის პირად ჭას თუ არა პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ერთი კი გაუგებარია, თავად პროკურორს, შინაგან საქმეთა მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის მოადგილის გამზრდელ მამას რატომ არ სჯერა შვილების მიერ დაცული წესრიგისა და უსაფრთხოებისა. ბატონი როლანდი, საბჭოთა დროის პროკურორია, რაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ანომალია იმაში მდგომარეობს, რომ ბატონი საააკაშვილი კომუნისტური წარსულის მქონე და შევარდნაძის ყოფილ მალაჩინოსნებს მუდმივად ლანძღავს, თუ მის გვერდით არ დგანან, ხოლო თუ თანამშრომლობენ — აწინაურებს, აქებს და ადიდებს. იქნებ პირიქით არის?

ბატონი **სააკაშვილი** უდიერად იხსენიებს პარტიის, კომკავშირის, უშიშროების ყოფილ მუშაკებს, რომლებიც მის გვერდით არ დგანან, ის კი ავიწყდება რომ ერთიც, მეორეც და მესამეც თავად იყო სკოლაში და, როგორც ხალხში უწოდებენ „შავი ჭირის“ სამედიცინო ცენტრის კომკავშირის მდივანმა სწორედ კომკავშირული რეკომენდაციით მიაღწია კიევის უნივერსიტეტში ჩარიცხვას, საიდანაც მოგვიანებით გარიცხული — უშიშროების აპარატის ჩარევით აღდგა. მოგვიანებით კი უშიშროების ოფიცრად მუშაობდა ბორისპოლის აეროპორტში.

**მისი პირადი საქმე დღესაც გასაიდუმლოებულია.**

**ამბობენ კი, რომ განცხადება კომპარტიაში შესვლაზე 9 აპრილის მოვლენების შემდეგ დაწერა.** ვფიქრობთ, აქ არც რაიმეს ახსნა შეიძლება და კომენტარიც სრულიად უადგილოა.

ჩვენ არავის მიმართ არ გვაქვს წარსულის გამო პრეტენზია. გაცილებით მნიშვნელოვანია, დღეს რას წარმოადგენს პიროვნება. მაგრამ სააკაშვილი რომ სხვებზე საუბრობს, რატომ ავიწყდება თავისი, პარლამენტარების და უახლოესი გარემოცვის და მათი ოჯახების პარტიულ-კომკავშირული წარსული? მაგალითისათვის **ზესტაფონის მაჟორიტარის ბეჟან ბუცხრიკიძის, სენაკის მაჟორიტარის გურამ მესაბიშვილის, კუბლაშვილების** და **გაბაშვილების** ოჯახების წარსულიც კმარა.

საპარლამენტო კორპუსს კვლავაც დაამშვენებენ ისეთი ოდიოზური სქელშუბლიანები, როგორებიც არიან **გივი თარგამაძე, აკაკი მინაშვილი, გიორგი ასანიძე, პეტრე ცისკარიშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, ბადრი ბასიშვილი...**

პარტიებთვლაარეული **ეკატერინე ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური** კვლავ წარბშეუხრელად დაიცავენ მორიგი პარტიის იდეებს სიტყვითა და ... მუშტით.

ნაცმოძრაობას ხაზინაპარვია ყოფილ და ახლანდელ მინისტრებთან ერთად ფინანსურად აძლიერებენ „ფულისტომარაკაცები“, ანუ ტომ — არა — კაცუნები: „საირმის“ და „თეგეტას“ პატრონი **თემურ კოხოძე,** ოქროს ზნელი ბიზნესის პატრონი **კობა ნაყოფია,** მრავალდარგოვანი ბიზნესის მფლობელი **დავით ბეჟუაშვილი,** ქართლ-კახელი გლეხებისათვის საძოვრების წამრთმევი **კახაბერ ოქრიაშვილი,** პროდუქტებით ვაჭრობის მონოპოლისტი **არჩილ გეგენავა** და სხვა ნაკლები თუ არანაკლები ნოვორიშები.

პარლამენტებში კვლავაც გაგვახარებენ ქართული ცნობიერების დამანგრეველი სოროსისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინტერესების დაცვით **დავით დარჩიაშვილი** და **შოთა მალაშხია**. ეს პარლამენტი პრაქტიკულად გახლავთ ხალხის კრებული, რომელიც სრულად იზიარებს **„თავისუფლების ინსტიტუტისა“** და **სოროსის** იდეალებს.

**პარლამენტში შესვლას კვლავაც ლამობენ ეკლესიის დამანგრევლები, ქუჩებში ახალგაზრდების ჩაცხრილვების გამმართლებლები და მფარველები, ქართულ აზროვნებასთან და მენტალიტეტთან მებრძოლები.**

**ყოველივე ეს ზედაპირულადაც კარგად ჩანს, სიღრმეები უფრო დამანგრეველია.**

სათქმელი კიდევ ბევრია... ამ თემას კვლავ დავუბრუნდებით

**პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ანალიტიკური ჯგუფი**

2012 წლის 7 სექტემბერი

## თვალსაზრისი

### ახმედ უმაროვი: მოჯაჰედების სიკვდილზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს არ ეკისრება

**ლოპოტას ხეობაში, ჩეჩენი მოჯაჰედების სიკვდილზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს არ ეკისრება, — ამის შესახებ „ეხო კავკაზასთან“ ინტერვიუში თბილისში მყოფმა დოკუ უმაროვის ძმამ ახმედ უმაროვმა განაცხადა.**

**თუმცა, „ეხო კავკაზას“ ცნობით, ჩრდილოკავკასიური იატაკქვეშეთის ლიდერის ძმა ლოპოტას ხეობაში მომხდარის განმარტებაზე უარს აცხადებს. მისივე თქმით, ჯერ დეტალების გამხელის დრო კიდევ არ დამდგარა.**

### ოკუპირებულ აფხაზეთში ბზის ტყეები ნადგურდება

**ოკუპირებულ აფხაზეთში ბზის ტყეები ნადგურდება და კვდება. აფხაზეთში ბზის ტყეების კვდომის მიზეზი გარედან შეტანილი სოკოს დაავადებაა. განცხადება ამის შესახებ რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის მინისტრმა სერგეი დონსკოიმ გააკეთა. მისივე თქმით, ბზა ასევე კვდება სოჭში.**

**დონსკოის თქმით, ამ დაავადების გავრცელებისა და ბზის ტყეების კვდომის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, ისევე როგორც უცნობია ის, თუ როგორ უნდა ებრძოლო ამ დაავადებას ტყის გადასარჩენად.**

**„ამის შესახებ სპეციალისტების სხვადასხვა აზრი არსებობს. ასევე სპეციალისტების აზრით, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ დაავადებას. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ეს განახლების ბუნებრივი პროცესია და რამდენიმე წელიწადში კვლავ აღდგენა დაიწყება“, — აცხადებს დონსკოი და აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე უკვე ზუსტად იქნება ცნობილი, თუ რა სჭირს ბზის ტყეებს.**

### „მაესტროს“ ხელმძღვანელობა ანტენებთან დაკავშირებით ხელისუფლების შეთავაზებას უახლოეს დღეებში განიხილავს



**„მაესტროს“ ხელმძღვანელობა სატელიტური ანტენების „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით გავრცელების შეთავაზებას უახლოესი დღეების განმავლობაში განიხილავს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განუცხადა.**

**მისი თქმით „მაესტროს“ ხელმძღვანელობა განიხილავს, რამდენად გამართლებული და შედეგის მომტანი იქნება აღნიშნული შეთავაზება.**

**მისი განცხადებით, ფოსტის მეშვეობით ანტენების გავრცელება არ გულისხმობს სრულ სერვისს და მხოლოდ ადგილზე მიტანა საკმარისი არ იქნება.**

**„ანტენის მიტანა შედეგს არ მოიტანს. საინტერესოა, როგორ მოგვარდება მონტაჟის პრობლემა. ამ დეტალებს ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად რამდენიმე დღის განმავლობაში გავივლით, განვიხილავთ კომერციულ მხარესაც და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ“, — აცხადებს ბაჩო კიკაბიძე.**

**კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის“ წარმომადგენელმა, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა უწყებათშორისი კომისიის ხელმძღვანელთან, უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ხელისუფლება „მაესტროს“ სატელიტური ანტენების დარიგებას გარკვეული პირობებით დათანხმდა. როგორც ლაშა ტუღუშმა განმარტა, ანტენების დარიგებას განახორციელებს „საქართველოს ფოსტა“ და ეს მოხდება „მაესტროს“ სახელით.**

**„მაესტრომ“ უნდა დადოს შეთანხმება „საქართველოს ფოსტასთან“. დარიგებასა და უშუალოდ დამონტაჟებასაც განახორციელებს „საქართველოს ფოსტა“, — განაცხადა ლაშა ტუღუშმა. საუბარია ტელეკომპანია „მაესტროს“ 30 ათას ანტენაზე და 15 ათას რესივერზე.**

ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესი

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

## ინფორმაცია



### როდის დაიწყებს მუშაობას საზღვრებზე კომპანია SGS?

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას, თუ როდის დაიწყებს საზღვრებზე მუშაობას შვეიცარიული კომპანია SGS-ი.**

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ტექნიკური დეტალების დაზუსტება. მისი თქმით, ტექნიკური დეტალების მოგვარებისთანავე შვეიცარიული მხარე ქართულ მხარეს მიაწვდის ინფორმაციას.**

**რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების ფარგლებში თბილისსა და მოსკოვს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, შვეიცარიულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს მონიტორინგი ლარსის, ფსოუსა და როკის სასაზღვრო პუნქტებზე.**

ინტერპრესი

# არჩევნების უსაფრთხოება




## ვლადიმერ ვახანიას საგანგაშო განცხადება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შესახებ

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს,**
**უწყებათშორისი კომისიის თავმჯდომარეს**
**ბატონ გიგა ბოკერიას**

**საქართველოს იუსტიციის მინისტრს**
**ბატონ ზურაბ ადეიშვილს**

**საქართველოს მთავარ პროკურორს**
**ბატონ მურთაზ ზოდელავას**

**საქართველოს პარლამენტის წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის**
**ვლადიმერ ვახანიას**

## განცხადება

**(დანაშაულის ჩადენის შესახებ გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლით — „უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა“)**

2009 წლის 15 მარტს ჩემს საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ზუგდიდი, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა №60-ში, თავს დამესხნენ მრავალრიცხოვანი პოლიციის და სამხედრო ამუნიციაში გამოწყობილი, ნიღბიანი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაუდგენელი პირები, რომლებმაც მე და ჩემთან მყოფი სტუმრები დაგვატყვევეს, გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები, საწოლი ლოგინის ქვეშ ჩადეს გაურკვეველი წარმოშავლობის ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები და ნაირნაირი საბრძოლო მასალა, რასაც მოჰყვა გაყალბებული საქმის მასალების მიხედვით — ჩემი უკანონო დაკავება, უკანონო ჩხრეკა, შემდგომ კი უკანონო დაპატიმრება, რის შედეგადაც სამწელიწადნახევარი მომიწია უკანონოდ სასჯელის მოხდა.

ამ დანაშაულებრივ ფაქტებზე მე არაერთხელ მივმართე საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურორს, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორს **როლანდ ახალაიას,** ზუგდიდის რაიონულ პროკურორს **დიმიტრი ხვიტიას,** მაგრამ არავითარი რეაგირება მათი მხრიდან არ მოჰყვა. ეს ფაქტები ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაადასტურა უამრავმა მოწმემ, მიწოდებული იქნა კანონის სრული დაცვით მოპოვებული ვიდეომასალა გადაღებული ტექნიკური საშუალებით — სახლის სათვალთვალო კამერებით, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით სააპელაციო სასამართლომ განზრახ უკანონოდ უარყო შუამდგომლობები უტყუარი მტკიცებულების განხილვაზე და დართვაზე სისხლის სამართლის №044090189 საქმეზე, რამეთუ წინასწარ „განჭვრიტა“ თუ რა სახის დანაშაულებრივი ქმედება იყო მოცემულ შემთხვევაში, რაც დაფარა, რადგან ეს დაამტკიცებდა ჩემს უდანაშაულობას, რაც არ აწყობდა ჩემს განზრახ უკანონო დაპატიმრების დამკვეთებს და რითაც სასამართლომ თვითონ ჩაიდინა დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ, **უზენაესი სასამართლოს ჩათვლით.**

გამოძიება ყოვლად უსაფუძვლოდ, ჯიუტად უარყოფს და აცხადებს, რომ 2009 წლის 15 მარტს ჩემი დაკავება და სხვა საგამოძიებო მოქმედებები (ჩხრეკა ძ ჩატარა პოლიციის ხუთკაციანმა შემადგენლობამ, რაც ეწინააღმდეგება უტყუარ მტკიცებულებას, სახელდობრ, საცხოვრებელი სახლის სათვალთვალო კამერებით დაფიქსირებულ ვიდეომასალას და ექსპერტიზის დასკვნებს. კერძოდ, დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტიზამ (დავით მჭედლიშვილი და გიორგი გელაშვილიძ №27 03.02.2011 წ. დაასკვნა, რომ **2009 წლის 15 მარტს სათვალთვალო მოწყობილობით (ვიდეოთვალით) გადაღებული კადრებით დაფიქსირებულია 25-30 პოლიციელისა და სპეცრაზმელის ფორმაში, ნიღბიანი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, აგრეთვე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ვიდეომასალაზე (ვიდეოთვალით) დაფიქსირებული მოვლენები ვითარდება 2009 წლის 15 მარტს, ქ. ზუგდიდში, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა №60-ში მდებარე სახლმფლობელობის შიდა და გარე პერიმეტრებზე. ექსპერტიზამ ასევე დაასკვნა, რომ ვიდეოთვალით დაფიქსირებული მოვლენები (ვიდეომასალა) დაუმონტაჟებელია, ე. ი. რეალური და ფაქტობრივია.**

ამდენად, დღემდე გაურკვეველი რჩება ვინ იყო და არის 25-30 შეიარაღებული პირი, რომლებიც 2009 წლის 15 მარტს უკანონოდ შემოიჭრნენ ჩემს საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ზუგდიდში, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა №60-ში და რადგან არავინ განაცხადა და არ აიღო პასუხისმგებლობა ამ შეიარაღებული ჯგუფის არსებობაზე, **აშკარად სახეზეა „უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა“** — დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლით.

**ზემოაღნიშნულიდან, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში,** მოვითხოვ, დაუყოვნებლივ დაიწყოთ გამოძიება დანაშაულის ნიშნებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლით, გაატაროთ ეფექტური საგამოძიებო ღონისძიებები დამნაშავე პირთა გამოვლენისა (განიარაღებისაძ და დასჯის მიზნით, **რამეთუ ეს მძიმე დანაშაული ემუქრება საქართველოს საზოგადოებრივ უშიშროებას და, რაც მთავარია, მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის და თავისუფალი არჩევნების ჩატარების უსაფრთხოებას.**

* * *

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და უწყებათაშორის კომისიას,**

გთხოვთ, აიყვანოთ პირად კონტროლზე წინამდებარე განცხადება და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, მიიღოთ ქმედითი ზომები საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა უკანონო შეიარაღებული ფორმირების ძალადობრივი ქმედებების გარეშე, კერძოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და განსაკუთრებულად №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქში.

გთხოვთ, გამოძიების დაწყების, გატარებული ღონისძიებების და მიღებული შედეგების შესახებ მაცნობოთ წერილობით უმოკლეს ვადაში მე და ჩემს წარმომადგენლებს (ილია ლომია და ლევან ჩხეიძე, ტელ. 599 900 416; 599 939 851ძ და ფართო საზოგადოებას.

**პატივისცემით,**

**სამართლის დოქტორი,**
**პროფესორი, აკადემიკოსი (პოლიტპატიმარი)**
**ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი**
**ვლადიმერ ვახანია.**
10.09.2012წ.

დანართი–მტკიცებულებები:
1. ვიდეომასალა (კომპაქტ–დისკი);
2. ექსპერტიზის დასკვნა №27 03.02.2011


დასკვნა





# ბიძინა ივანიშვილი: მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

## კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა 9 სექტემბერს თელავში გამართულ აქციაზე

(პირველი გვერდიდან)

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ „მამული, ენა, სარწმუნოება“ ილიასთვის იყო სამი მთავარი საუნჯე, რომელიც წინაპრებისგან გადმოგვეცა.

მაგრამ იშვიათად გვახსენდება მისი მოწინავე, ლიბერალური შეხედულებები ადამიანისა და სახელმწიფოს შესახებ.

ამ საკითხებზე მსჯელობისას ილია ამბობს: „ზოგან საქმე ისე წარიმართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მოითალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა.“

ხომ არ გვეცნობა ეს ვითარება?

განა სირცხვილი არ არის, 21-ე საუკუნის საქართველოში გვიხდებოდეს იმის მტკიცება, რომ ამქვეყნად მთავარი ღირებულება ადამიანია, ხოლო სახელმწიფო მისი პიროვნული თავისუფლებისა და კეთილდღეობის გარანტი.

ისევ ილიას დავესესხები: „ყოველი წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედებს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამდენადაც შეიძლება, ბედნიერი იყოს“.

ილიას ამ შეგონებას ჩვენ, „ქართული ოცნება“, რეალობად ვაქცევთ, გპირდებით!

ადამიანის ბედნიერება კი არა, ადამიანის სიცოცხლეც რომ არაფერია ამ ხელისუფლებისთვის, ყველამ ვნახეთ ამ დღეებში ლოპოტას ხეობის სოფელ ლაფანყურის მიდამოებში დატრიალებული ტრაგედიის დროს.

იქ ქართველი ჯარისკაცები დაიღუპნენ, იქ დაიღუპნენ საქართველოს მოქალაქე ქისტები და ჩრდილოკავკასიელები. ეს არ არის ქართული ოცნება, ასეთი არ შეიძლება ქართული ოცნება რომ იყოს.

გლოვა და მწუხარება მოუტანა ამ უბედურებამ ქართველ, და არა მარტო ქართველ, დედებს. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა სინამდვილეში, და ამიტომ არ ვაპირებთ პოლიტიკურ შეფასებას.

რაც ნამდვილად ვიცით, ის არის, რომ მომხდარს შეეწირნენ ადამიანები, ახალგაზრდები. ნუთუ არ შეიძლებოდა ამ ამბის მსხვერპლის გარეშე დამთავრება...

დანამდვილებით კიდევ ის ვიცით, რომ ჩვენი ხელისუფლება უტიფრად ტყუოდა ლოპოტას ხეობაში ოპერაციის დაწყების პირველივე დღიდან, ტყუოდა, როცა გვიმტკიცებდა, რომ იქ რუსეთიდან გადმოსულ შეიარაღებულ დივერსანტთა რაზმს ებრძოდა.

მაგრამ როგორც კი აღმოჩნდა, რომ ეს ჯგუფი რუსეთიდან არ იყო შემოსული, იმის მტკიცება დაგვიწყეს, რომ რაზმის არც ერთი წევრი საქართველოს მოქალაქე არ იყო. ჟურნალისტების წყალობით გავიგეთ, რომ დაღუპულთათვის პანკისის ხეობის სოფლებში საფლავები გაითხარა, ოჯახები კი დაღუპულ შვილებს გლოვობდნენ, გავიგეთ ისიც, რომ ხელისუფლება ცხედრებს არ აძლევდა ოჯახებს, ცხედრებით ევაჭრებოდა ქისტებს!

მე მინდა, რომ ჩვენმა ქისტმა თანამემამულეებმა, დაღუპულების ნათესავებმა და ახლობლებმა აუცილებლად იცოდნენ, რომ ამ უბედურებას ჩვენ გამოუძიებელს არ დავტოვებთ! ყველაფერს გავარკვევთ და გპირდებით ყველას, რომ დამნაშავე არ დარჩება დაუსჯელი!

ახლა კი, ერთად გავიხსენოთ ლოპოტას ხეობაში დაღუპული ჩვენი სამი ქართველი ჯარისკაცი, ისინიც, ვინც ამ ტრაგედიას შეეწირნენ და წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

ჩემო კახელებო!

დღეს კახეთი გაპარტახებულია და გავერანებული, ხალხი დამცირებულია და სასოწარკვეთილი.

ამ ხელისუფლებამ ისე გადათხარა ეს ქალაქი, რომ ძლივს მოხერხდა ჩვენი შეკრებისთვის ადგილის გამონახვა. ასეა გადათხრილი თითქმის მთელი საქართველო. როგორ შეიძლება, ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ შენების წინააღმდეგი იყოს ვინმე, მაგრამ, როცა ხედავ, როგორ ზიანდება თელავის ისტორიული იერსახე და განუმეორებელი კოლორიტი, როცა შენს თვალწინ იჭრება ასწლოვანი ხეები, ხეები, რომლებსაც სტიქიამაც ვერაფერი დააკლო, იჭრება, რომ მერე ერთმა კაცმა შეთითხნილი კედლების ფონი დეკორაციად გამოიყენოს, როცა იცი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი, თვითმარქვია „არქიტექტორის“ ამპარტავნების ასპარეზად არის გადაქცეული, არ შეიძლება, არ მოგინდეს ამ კაცის შეჩერება!

მე ერთხელ გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ერთ-ერთ ხიდთან დაკავშირებით.

ეს სააკაშვილმა ხელზე დაიხვია და ბრალდებები მოაყოლა, რომ მე დამანგრეველი ვარ, თვითონ კი აღმშენებელი. წლების განმავლობაში იმაზე ვზრუნავდი, რომ ჩემი ქვეყნის აღმშენებლობაში მიმეღო მონაწილეობა. და ამაში არაფერია განსაკუთრებული, რადგან ამ ქვეყნის შვილი ვარ და ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა და მიმაჩნია.

რაც მიკეთებია, ყველაფერი თავად მიიწერეს, ყველაფერი, და ახლა გამოლმა მედავებიან, დამანგრეველი ხარო.

როცა რამეს აკეთებ, რაც შეიძლება ჩუმად უნდა აკეთო, უხმაუროდ.

მადლი ქენი, ქვაზე დადე და გაიარეო, ნათქვამია.

ასე ვიცხოვრე აქამდე! მაგრამ ისიც ნათქვამია, და ისიც ბრძნულად: მადლი ქენი? ზედ მარილი მოაყარეო. ამიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა და პოლიტიკიდან ჩვენი უღირსი ხელისუფლების გასტუმრება. ერთს კი ნამდვილად ვეტყვი სააკაშვილს და ჩვენს ხალხს: მე და „ქართული ოცნება“ ნამდვილად დავანგრევთ უსამართლობას, შიშსა და გაწუწკიანებას, მე ამას გპირდებით!

ცოტაც გავუძლოთ, ცოტაც ავიტანოთ და 1 ოქტომბერს შემოვხაზოთ 41. ჩვენ გავიმარჯვებთ და ყველას ერთად აგვიხდება ჩვენი ქართული ოცნება. დღეს ჩვენ საქართველოს ერთ-ერთი სატახტო ქალაქის მიწაზე ვდგავართ. აქ, თელავში, ჯერაც ტრიალებს დიდი ერეკლეს შეუდრეკელი სული.

აქ, თელავში, „პატარა კახის“ გმირობითა და მამაცობით ნასაზრდოები, გამორჩეული კულტურისა და სამაგალითო ზნეობის ადამიანები ცხოვრობენ. კახეთი მრავალჟამიერისა და ჩაკრულოს სამშობლოა. ამით ქართველისთვის ყველაფერია ნათქვამი. თუმცა, მაინც დავამატებ:

ეს სიმღერები არა მარტო ქართული კულტურის მწვერვალებია, არამედ ჩვენი სამშობლოს გამაერთიანებელიცაა.

„ჩაკრულო“ ყველასია, მთელი საქართველოსი! როგორც აღმოჩნდა, იგი ჩვენი პლანეტის ცივილიზაციის შედევრიცაა. როცა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კოსმოსში გასაშვებად დედამიწიდან სულ რამდენიმე ისეთი შედევრი შეარჩიეს, რითაც კაცობრიობას შეუძლია იამაყოს, მათ შორის „ჩაკრულოც“ მოხვდა.

ამაზე მეტი რაღა გითხრათ, კახელებო!

შემთხვევითი არ არის, რომ კახელები იყვნენ ვანო სარაჯიშვილი და ჰამლეტ გონაშვილი – საქართველოს ეს ორი საოცარი ხმა.

კახეთიდან იყვნენ სანდრო ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი და ელენე ახვლედიანი.

ფიროსმანს აღარ იკითხავთ, ხალხო, ფიროსმანს, ვისიც გენიალურ პიკასოსაც კი შეშურდა, ნიკალაც კახელი იყო...

ეს ჩვენი თელავი იყო საქართველოს ერთ-ერთი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა.

მეფე ერეკლეს ოჯახში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა ქართველ ბატონიშვილთა მთელი თაობა. და დღეს სააკაშვილმა გადაწყვიტა ამ ხალხის დაშინება, ამ ვაჟკაცი ხალხის დაჩოქება.

სააკაშვილს ისიც ჰგონია, რომ თუ მოწყალებას გაიღებს, ხალხი თავს წაუხრის და გაუჩუმდება. თქვენ, ამ დიდი სულიერი მემკვიდრეობის მატარებელ ადამიანებს, უშიშარ, დინჯ და ვაჟკაც ხალხს ვერავინ მოგერევათ!

ვერავინ დაგაჩოქებთ!

და, რამდენიც უნდა ეცადოს, ვერავინ შეგაშინებთ!

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, სააკაშვილის რიტორიკა სულ უფრო უხამსი და თავაშვებული ხდება.

ქვეყნის მეთაურები თავის ხალხს ასე არ მიმართავენ. რუსეთის აგენტებს და კრიმინალებს გვიწოდებს ყველას და ყოველდღიურად, სხვადასხვა ტრიბუნიდან მიმართავს თავისიანებს, რომ მეორე მხარეს, ანუ „ქართულ ოცნებაში“, საქართველოს მტრები და გამყიდველები არიან გაერთიანებული, და რომ მათ აუცილებლად გასცემს საკადრის პასუხს.

ქვეყნის პრეზიდენტი თავის ხალხს განადგურებით არ ემუქრება, კრიმინალს და მტერს არ უწოდებს, ეს არ ხდება არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში.

ეს უნდა დამთავრდეს!

თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, სააკაშვილი ცდილობს, ორად გაჰყოს ხალხი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ერთმანეთს. ამგვარი საშინელი დაპირისპირების უმწარესი გაკვეთილი ოცი წლის წინათ მიიღო ჩვენმა ხალხმა, რომელიც, მჯერა, იმდენად დაბრძენებულია, რომ უკვე მსგავსი აღარაფერი მოხდება.

ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ არც ერთი ხელისუფლება და პოლიტიკური ლიდერი არ ღირს იმად, რომ მისმა მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტონ. ამიტომ სააკაშვილი, რამდენსაც უნდა ეცადოს, ვერ გახლეჩს ჩვენს ხალხს.

ხალხო, მისი ასეთი განზრახვა ქვეყნის ნამდვილი მტრობაა, დანაშაულია, რომელიც, არა მგონია, რომელიმე გონიერმა და ღირსების მქონე ხალხმა უპასუხოდ დატოვოს. ამიტომ ვაფრთხილებ ხოლმე პრეზიდენტს და მისი დავალებების შემსრულებლებს – სინდისი თუ დაკარგეთ, კანონის მაინც გეშინოდეთ!

ხალხო! კახელმა კაცმა გაუთავებელი ომების ქარცეცხლში გამოატარა თავისი მთავარი განძი და ფასეულობა – ქართული ვაზი და ცივილიზაციას შემოუნახა საუცხოო ღვინის დაყენების უნიკალური, ათასწლოვანი ტექნოლოგია.

ტრადიციული კახური წესით ქვევრში დაყენებული ღვინო ანცვიფრებს მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებს და სულ უფრო პოპულარული ხდება ღვინის მოყვარულთა შორის.

ერთი მადლიანი კაცის თელავური იუმორით ნათქვამს გავიმეორებ: „ვენაცვალე ღვინოსა, მაგან გადაგვატანინა შაჰ-აბასი და კოლექტივიზაციაო“...

ვენახი და ქვევრ-მარანი ქართველისათვის ისეთივე საკრალური და წმინდა ადგილია, როგორც ეკლესია.

ეს არის ჩვენი ფესვები და სულიერი სიმტკიცის წყარო. სწორედ ამ შეგნებით უვლის და იცავს კახელი გლეხი ვაზს. დიახ, იცავს, რადგან, ამ ბოლო დროს მას ხშირად უჩიჩინებენ, რომ ვენახი არარენტაბელურია, წამგებიანია, რომ ახალ ცხოვრებას უნდა აუღოს ალღო შრომელმა კაცმა და ერთწლიანი კულტურების მოყვანაზე გადავიდეს, რომელსაც, თითქოს, მეტი შემოსავლის მოტანა შეუძლია.

შემზარავი იყო, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ მთელმა საქართველომ ნახა ნაჯახმომარჯვებული, გამწარებული კახელი გლეხი, თავისი ხელით რომ ჩეხდა შვილივით ნაზარდ ვაზს.

ამაზე მწარე რა უნდა დაგვემართოს!

რა თქმა უნდა, გლეხი თავის მიწაზე რას მოიყვანს, ამაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს, ვერავინ ვერ უნდა უბრძანოს, რა დათესოს და რა მოიყვანოს. მაგრამ, რადგან ვაზი და ღვინო ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, ამიტომ სახელმწიფო, თავის მხრივ, უნდა ზრუნავდეს მევენახეობაზე და ხელს უნდა უწყობდეს მის გადარჩენასა და განვითარებას.

დღეს კახელ გლეხს შრომა არ უფასდება. ტრადიციული ბაზრების მოშლამ დიდი პრობლემების წინაშე დააყენა მეღვინეობა. გლეხს ვაზის მოვლა უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე ყურძნის ჩაბარებაში იღებს. 2003 წლის შემდეგ სახელმწიფოს მეღვინეობა-მევენახეობის დარგში არც ერთი თეთრი არ ჩაუდია.

ეს ხელისუფლება ყოველი რთველის წინ გლეხს ყურძნის ფასს წყალობასავით უხდის და ამადლის.

ამათ რთველი და გლეხი კაცი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ, ამიტომაც იბარებენ წელს ყურძენს ერთ ლარად. ასე ცდილობენ ხალხის გულის მოგებას და ხმების ყიდვას!

ცოტაც გაუძელით, ხალხო, ერთი თვეც აღარ დარჩა არჩევნებამდე, და გპირდებით, რომ მომავალი რთველი სხვანაირი იქნება.

სხვანაირი იქნება იმიტომ, რომ ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული და დაგეგმილი ყველაფერი.

ჩვენ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებაზე ვიზრუნებთ და რთველიც ამ ზრუნვის ნაწილი იქნება. ჩვენი გეგმის მიხედვით ვენახები უნდა გაშენდეს თანამედროვე ტექნოლოგიური სქემებით, უნდა მოვიყვანოთ მაღალხარისხიანი ყურძენი. გლეხის მოსავალი დაზღვეული იქნება რისკებისაგან. აუცილებლად შევქმნით სეტყვასაწინააღმდეგო თანამედროვე, ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებისთვის უვნებელ სისტემას.

კახელი გლეხი მარტო მევენახე არ უნდა იყოს, ის უნდა გახდეს ღვინის მწარმოებელიც, რათა მეტი შემოსავალი მიიღოს.

ყველა სოფელს თავისი „სოფლის ღვინის მარანი“ უნდა ჰქონდეს, რომლის შექმნაშიც სახელმწიფოც მიიღებს მონაწილეობას. ამ ბოლო წლების განმავლობაში ევროპასა და ამერიკაში გემო გაუგეს ქვევრის ღვინოს და მას ქარხნული წარმოების ღვინოზე მეტადაც აფასებენ.

ჩვენ ვისარგებლებთ ამით და საკადრის ადგილს დავუმკვიდრებთ ქართულ ღვინოს მსოფლიოს საუკეთესო ღვინოების გვერდით.

ჩვენ საქართველოს დავუბრუნებთ მეღვინეობის სამშობლოს სახელს, ახლებურად წარმოვაჩენთ და კუთვნილ ადგილს მივუჩენთ ქართულ ღვინოს.

მე გპირდებით, რომ თელავი გახდება ის ქალაქი, სადაც თავს მოვუყრით ვაზისა და ღვინის კულტურის სამეცნიერო გამოცდილებას, შეიქმნება და განვითარდება საჭირო ინფრასტრუქტურა და ეს ათასობით სამუშაო ადგილს შექმნის.

კახეთი საქართველოს ბეღელი იყო... პურღვინო ჩვენს ქვეყანას ყოველთვის მიწა-წყალივით თავისი ჰქონდა. ქვეყანა დაპურებული იყო – ხორბალიც ჩვენი გვქონდა და ყურძენიც.

ახლა ხორბალს უცხოეთიდან ვეზიდებით, რადგან ჩვენს საკუთარ, უნიკალური ჯიშის ხორბალზე უარი ვთქვით და მასზე აღარ ვზრუნავთ. ჩვენ ამასაც მივხედავთ!

თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღსა და სხვა რაიონებში ადვილად შეიძლება განვითარდეს ეთერზეთების წარმოება, აბრეშუმის ჭიის მეურნეობა, სამკურნალო მცენარეების, მიწის

თხილისა და სხვათა მოშენება და მომგებიან მეურნეობად გადაქცევა.

ჩვენ იმაზე ვიზრუნებთ, რომ ეს ყველაფერი კონკრეტულ პროექტებად და რეალურ ბიზნესად ჩამოყალიბდეს.

სოფლის ფეხზე დასაყენებლად ჩვენ გადავწყვიტეთ 1-მილიარდიანი ფონდის შექმნა. სოფელი რომ წელში გაიმართება, ამით კაცსაც ეშველება და ქვეყანასაც.

მე მჯერა ამის და ამიტომ ყველაზე საშური საქმედ ეს მიმაჩნია. ჩვენ ყველა გლეხს მივცემთ იმის საშუალებას, რომ ტრაქტორი და სხვა საჭირო ტექნიკა გამოიყენოს. ტრაქტორი გზის პირას კი არ უნდა იდგეს, რომ მერე თვალი დაუჭირონ, არამედ მინდორში უნდა მუშაობდეს მოსავლის გასახარებლად.

ამ მადლიან კუთხეში არც ერთი გოჯი მიწა არ დარჩება დაუმუშავებელი. გლეხკაცის შრომას ფასი დაედება. მას ექნება შხამ-ქიმიკატებით, ბიოსასუქებით, სარწყავი სისტემებით სარგებლობის საშუალება.

გლეხებს იაფი და გრძელვადიანი კრედიტის აღება შეეძლებათ.

თქვენ მიერ მოყვანილი ჭირნახული ღირსეულად ცხოვრების საშუალებას მოგცემთ. მოწეული მოსავალი გაუსაღებელი აღარ დარჩება. კახეთისთვის რკინიგზის რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა.

ჩვენ ამ საქმესაც მივხედავთ და კახეთს ნორმალური ცხოვრების საშუალებას დავუბრუნებთ. ჩვენ შევქმნით ისეთ საწარმოო გარემოს, რომ ნიჭიერი, გამრჯე კაცისათვის წარმატებული ბიზნესის გაკეთება ჩვეულებრივი საქმე იქნება და უამრავი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ადამიანები რეალურად დასაქმდებიან!

ჩვენ გვჯერა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინების სიკეთე შეეხება თითოეულ ადამიანს, თითოეულ ოჯახს. ამას იგრძნობთ თქვენც – კახელები და თქვენს წვლილს შეიტანთ ქართული სოფლის აღორძინების საქმეში.

მე მთელ საქართველოს დავპირდი ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებას და საუნივერსიტეტო ქალაქის აშენებას.

მე ამით დაინტერესებული ვიყავი პოლიტიკაში მოსვლამდეც და არაერთი პროექტი მქონდა მომზადებული, რადგან მიმაჩნია, რომ ქვეყნის მომავალი განათლებაშია, ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში. ჩვენ გამოსავალში გვირდებით სოფლის მეურნეობის განვითარებას და აქაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული საარჩევნო რეჟიმი მაქვს, მე დავიწყე ამ დაპირების შესრულება.

სპეციალურად შევარჩიე სასოფლო-სამეურნეო გამოცდილებით და პროფესიული მიღწევებით ცნობილი ინდიანას შტატი და ვილაპარაკე მის გუბერნატორს – მიჩ დანიელს.

ამ შტატშია ერთ-ერთი უდიდესი უნივერსიტეტი. მას 13 ნობელიანტი კურსდამთავრებული ჰყავს.

ამ უნივერსიტეტს ძალიან საინტერესო მიღწევები აქვს საინჟინრო სპეციალობებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

გუბერნატორთან შეთანხმებით მე ინდიანაში გავაგზავნე ჯგუფი ამერიკელების გამოცდილების გაცნობისა და თანამშრომლობისათვის.

ჩვენმა ჯგუფმა მიაღწია შედეგს. სხვასთან ერთად, ინდიანას უნივერსიტეტი ჩვენ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში მოგვეხმარება.

საქმე იქამდეა უკვე მისული, რომ 12-14 სექტემბერს საქართველოში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ინდიანას ორი უდიდესი უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე განიხილავენ ჩვენი ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებს. დისკუსიები გაიმართება და მოხსენებები მიეძღვნება საუნივერსიტეტო და პროფესიულ სწავლებას; თანამედროვე აგროტექნიკით და ახალი სანერგე და სათესლე მასალებით ჩვენი ქვეყნის მომარაგებას და სხვა თემებს.

აქამდე რა ტექნიკაც შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში უმეტესად გამოუსადეგარია, რადგან არ ესადაგება ჩვენს სპეციფიკას, გრუნტსა და რელიეფს. ამიტომ ჩვენ საქმიანი კავშირი უკვე დავამყარეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უცხოელ მწარმოებლებთან და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაუყოვნებლივ დავიწყებთ თქვენთვის ისეთი და იმ რაოდენობით ტექნიკის შემოტანას, რომელიც საქართველოში სჭირდება მეურნე კაცს.

ეს ხელისუფლება, როგორც სჩვევია, ამ საქმესაც ზერელედ ეკიდება, იმიტომაც შემოიტანა ჰიბრიდული სიმინდი და გლეხებს იძულებით მოათესინა.

როგორ იზარალა ამით გლეხმაც და ქვეყანამაც, ჩემზე კარგად თქვენ იცით.

მე გპირდებით, რომ ჩვენ გულდასმით შევისწავლით ყოველი რეგიონის საჭიროებას.

ყველა კუთხეში, ყველა რეგიონში დავრგავთ და გამოვცდით ახალ ნერგებს და ჯიშებს.

ჩვენ ეს საქმე 3 წელია, რაც დაწყებული გვაქვს, ამიტომაც შევქმენით წილკნისა და ჯილაურის სანერგე მეურნეობები.

ახლა ამ გამოცდილებას მთელ ქვეყანაში დავნერგავთ, ყველაფერს ჩვენს გლეხკაცს შევუთანხმებთ და მხოლოდ ასე მივიღებთ გადაწყვეტილებას.

მე ამას გპირდებით!

სამარცხვინო რამე გვჭირს ქართველებს.

ალბათ, არსად სხვაგან არ იღვრება ასე უმოწყალოდ სასმელი წყალი, როგორც ჩვენში, მაშინ როცა ჩვენს მოსახლეობას უწყლობა სტანჯავს.

აქ, თელავში, ყველა უბანს თავისი წყარო აქვს, სახლებში კი წყალი სანატრელია. ეს ხელისუფლება კი ბაქი-ბუქობს, მაგრამ ამდენი წელია ვერა და ვერ მოაგვარა ეს საქმე.

მე სიტყვას გაძლევთ, რომ უწყლობა აღარ დაგტანჯავთ, ჩვენ ამას მოვაგვარებთ!

ამ ბოლო დროს მომხდარმა სტიქიამ ძლიერ დააზიანა თქვენი საცხოვრებელი სახლები და კარ-მიდამო, სრულად გაანადგურა მოსავალი.

სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციოდ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში 100-მილიონიანი სახელმწიფო ფონდია გათვალისწინებული.

საქმე საქმეზე რომ მიდგა და დახმარება დასჭირდა ჩვენს ხალხს, აღმოჩნდა, რომ ამ ხელისუფლებას მთლიანად გაფლანგული აქვს ეს ფული. აბა, რაღა უნდა მისცენ ხალხს? სადღა აქვთ ფული ხალხის დასახმარებლად?

ამიტომ ჰპირდებიან თითო ოჯახს საკომპენსაციოდ მაქსიმუმ 1500 ლარს, არადა ზარალი სინამდვილეში გაცილებით დიდია.

არც ამ თანხას აძლევენ ხალხს და თუ რამე მისცეს, იმასაც იმადლებიან.

მე გამოვნახე კანონიერი გზა დაზარალებულთა დახმარებისთვის და ის 80-მილიონიანი ჯარიმა, რომელიც სახელმწიფომ უკანონოდ დამაკისრა, გადავრიცხე სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და ეს ფული აუცილებლად და უკლებლივ უნდა მოხმარებოდა ხალხს!

ხომ ხედავთ თქვენც, რომ ეს თანხაც არ მოვიდა თქვენამდე, რადგან ხელისუფლებამ ისევ საკუთარი მიზნებისთვის სხვადასხვა რეგიონში გადაანაწილა. არადა ეს 80 მილიონი იმის საშულებას იძლეოდა, რომ თითოეულ ოჯახს კომპენსაციის სახით სულ ცოტა 4 ათას 700 ლარი მიეღო!

ჩვენ შევამოწმებთ ხელისუფლების ყველა ნაბიჯს და გპირდებით, რომ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არც ერთი ოჯახი არ დარჩება რეალური დახმარების გარეშე!

ოქტომბიდან ჩვენ ვიქნებით ის ხელისუფლება, რომელიც რეალურად იზრუნებს ხალხზე, საქმეს გააკეთებს და არაფერს დააყვედრის თავის მოქალაქეებს, რადგან ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახუროს და არა –ხალხი ხელისუფლებას!

ჩვენი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება განათლება.

დღევანდელი ხელისუფლება თავს იწონებს წარმატებული განათლების რეფორმით, თუმცა, რა შედეგი მოჰყვა ამას, ჩვენ ყველამ ვიცით.

უწინ ყველა სოფელს თავისი სკოლა ჰქონდა, ახლა, ოპტიმიზაციის მოტივით, ბევრ სოფელში დაიხურა სკოლა.

ჩვენ ყველა სოფელში აღვადგენთ სკოლას, ყველა მოსწავლეს ექნება ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება. ოჯახებს აღარ ექნებათ სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემა. მასწავლებლები დაფასებული იქნებიან, მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია გახდება. ახლა მედავებიან, თითქოს მასწავლებლებს ვემუქრები და ვაშინებ. არ დაიჯეროთ, ხალხო, პირიქით, ჩემზე მეტი ქომაგი არავინ გეყოლებათ, იცოდეთ!

მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ დღეს ყველაზე უუფლებო და დამცირებული მასწავლებლები არიან. დღეს ხელისუფლება მათგან სრულ მორჩილებას და მსახურებას მოითხოვს, მასწავლებლის უფროსია ყველა – მინისტრი, დირექტორი, მანდატური, ხშირად მშობელიც კი.

მასწავლებლის ავტორიტეტი მთლიანად დაკნინებულია. მასწავლებლებო, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე!

თქვენმა უმრავლესობამ მაინც მოახერხა და ამ მძიმე დროს არაფერი დაიშურა, რათა სათანადო ცოდნა მიეცა ბავშვებისთვის.

დღევანდელი ხელისუფლება კი თქვენგან სხვას მოითხოვს – მორჩილებას!

მასწავლებლებო!

ნუღარ ჩაუდგებით ამ ხელისუფლებას დამამცირებელ სამსახურში, ნუ მისცემთ არჩევნების გაყალბებაში თქვენი გამოყენების საშუალებას!

რადგან არჩევნების გაყალბება დანაშაულია ქვეყნის წინაშე და კანონით ისჯება! კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ: 1 ოქტომბერს თქვენს სამშობლოს დაუდექით გვერდში და არა ამ ხელისუფლებას!

ჩვენი გამარჯვების შემდეგ თქვენ აღარასოდეს მოექცევით პოლიტიკური წნეხის ქვეშ, მასწავლებლობა დაფასდება, ხელფასიც ღირსეული გექნებათ და სოციალური დაცვაც.

მე ამას გპირდებით!

ახლა მინდა ჯანდაცვის საკითხს შევეხო. ამ მხრივ, ბოლო 20 წელზე მეტია, ჩვენი მოქალაქეები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, თითქოს რაღაც იცვლება, საავადმყოფოებიც შენდება, მაგრამ რეალობა ისაა, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანები უექიმობითა და უწამლობით კვდებიან.

მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა სიძვირის გამო ვერ ახერხებს საავადმყოფოში დაწოლას, ძვირია წამლები, ძვირია ოპერაციის გაკეთება. ჩვენ, პირველ რიგში, ადამიანს მივხედავთ, ხალხს ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მივცემთ.

1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი გამარჯვების შემდეგ, საქართველოს თითოეული მოქალაქის – უკლებლივ ყველას ჯანმრთელობაზე იზრუნებს სახელმწიფო!

ჩვენ მივხედავთ თქვენს ჯანდაცვას, გპირდებით!

ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

ხალხო!

ძალიან გაუჭირდა ამ ხელისუფლებას და ყველგან ცდილობს, როგორმე ისეთი კანდიდატი წამოაყენოს, რომელიც კარგი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობს თავის მხარეში.

ამას ხან დაშინებით ახერხებს და ხან შანტაჟით, რადგან დიდი ხანია, წავიდა ის დრო, როცა წესიერი კაცი თავისი ნებით ჩადგებოდა ამათ სამსახურში.

მინდა ვთხოვო პატიოსან ადამიანებს, წესიერ ხალხს, თავს ნუ მოიტყუებთ: რა შეიძლება გააკეთოს კარგი იმ ხელისუფლებამ, რომლისთვისაც ის მხოლოდ გზა მორჩილებას ითხოვს, ითხოვს უკანონო დავალებების და უსამართლო განაჩენების, ითხოვს ქონების ძალით წართმევას, გლეხის დაჩაგვრას და ქალაქელის უმუშევრად დატოვებას.



ნურც შენ მოეტყუები ამომრჩეველო!

ნაციონალების კანდიდატი რომ გახდება ადამიანი, მანამდე რაგინდ კარგი საქმეც ჰქონდეს ნაკეთები, ვერაფერს ვეღარ შეძლებს სასიკეთოს და ხელისუფლების ყურმოჭრილ მონად იქცევა, თუ არადა, სასწრაფოდ მოიშორებენ თავიდან, როგორც ეს უამრავი სხვა, უამრავი პროფესიონალი მოიშორეს და ჩამოაცილეს საქმეს 2003 წლის შემდეგ. ჩვენი უბედურებაა, რომ სააკაშვილმა თავის გარშემო ყველა ჩაითრია უკანონობაში, რომელთა შორის ერთ-ერთი უმძიმესია არჩევნების გაყალბება.

დიახ, არჩევნების გაყალბებაა სწორედ სამოქალაქო სფეროში მკვლელობის ტოლფასი და დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე ფულის გაყალბების ტოლი დანაშაული. ამიტომ იცოდეს ყველამ, რომ როგორი კარგი ავტორიტეტიც არ უნდა ჰქონდეს თავის სოფელსა თუ ქალაქში, როგორც კი სააკაშვილის სამსახურში ჩადგება, ხელისუფლების ყველა უკანონობისთვის, პირველ რიგში კი, ისევ და ისევ არჩევნების გაყალბებისთვის მოუწევს პასუხისგება.

1 ოქტომბერს არჩევნებში გადაწყდება, ვინ ვართ და რა გვინდა: ვისაც უნდა, რომ მისი საკუთრება, სახლ-კარი, მიწა და სხვა ყველაფერი, რაზეც პატიოსანი კაცი ამაყად იტყვის ჩემიაო, საიმედოდ იყოს დაცული, ვისაც უნდა, რომ ადამიანის საკუთრება ამ ქვეყანაში ხელშეუხებელი იყოს და ვერავინ შეეცილოს, ვერც სხვა და ვერც სახელმწიფო, ადგეს ასეთი კაცი და ხმა მისცეს „ქართულ ოცნებას“ და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ კანდიდატს!

კახელებო, ვისაც გინდათ, რომ თქვენი შრომა საკადრისად დაფასდეს, და რომ თქვენს მუხლჩაუხრელ გარჯას ბარაქა მოჰქონდეს, მობრძანდით 1 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან და ხმა მიეცით „ქართულ ოცნებას“ და მის მაჟორიტარ კანდიდატს.

კახელო კაცო, თუ გსურს, რომ ისეთი პენსია გქონდეს, სხვისი ხელის შემყურე კი არ იყო, არამედ თავის რჩენაც შეგეძლოს და საჩუქრებით შვილიშვილების გახარებაც, მაშინ მოდი არჩევნებზე და აირჩიე შენი და შენი თაობის ადამიანების უზრუნველი სიბერე, ხმა მიეცი „ქართულ ოცნებას“ და, არც მისი მაჟორიტაროზის კანდიდატი დაგავიწყდეს.

კახელებო, ვისაც გინდათ, რომ პატიმრების წამება შეწყდეს, და უსამართლოდ დაჭერილი ადამიანები გათავისუფლდნენ ციხეებიდან, ვისაც გინდათ, რომ ადამიანებს დაუმსახურებლად მძიმე სასჯელი შეუმსუბუქდეთ, მოდით არჩევნებზე 1 ოქტომბერს და შემოხაზეთ 41!

ვისაც გინდათ, რომ ჩვენი შვილები კარგ განათლებას ეწაფებოდნენ, კარგი და იაფი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ, მოდით არჩევნებზე და ხმა მოგვეცით ჩვენ, „ქართულ ოცნებას“!

ვისაც გინდათ, რომ თქვენი და თქვენი ახლობლების ჯანმრთელობა სახელმწიფომ დააზღვიოს, არც წამალი ექვირებოდეს და არც კარგ საავადმყოფოში მკურნალობა, მოდით და აირჩიეთ „ქართული ოცნება“ და მისი მაჟორიტაროზის კანდიდატი.

მათ კი, ვინც ნაციონალურ მოძრაობას შემოხაზავს მაინც, იცოდნენ, რომ როდესაც ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, მათ არავინ გაუხსენებს ასეთ არჩევანს, და ყოველი სიკეთით, რასაც საქართველოს აღმშენებლობა მოიტანს, ისინიც ისევე ისარგებლებენ, როგორც ყველა დანარჩენი.

ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ხალხის დაყოფას ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგებად, ამას გპირდებით!

დაბოლოს, ვისაც გინდათ, რომ სამართალმა პური ჭამოს, რომ იცხოვროთ სამართლიან სახელმწიფოში, რომელშიც უკლებლივ ყველა თანასწორი იქნება კანონის წინაშე, მოდით არჩევნებზე 1 ოქტომბერს, ხმა მიეცით „ქართულ ოცნებას“ და შემოხაზეთ 41!

არჩევნების დღე ის ერთადერთი დღეა, როდესაც ხელისუფლება მთლიანად ხალხის ხელშია!

სწორედ ამ დღეს წყდება ქვეყნის მომავალი, ეს გადამწყვეტი დღეა! და თუ ამ დღეს არ გამოვიყენებთ, მეორე დღეს უკვე ყველაფერი გვიან იქნება.

ქვეყნის ბედს თქვენ წყვეტთ, ქვეყნის ბედს 1 ოქტომბერს თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები გადაწყვეტთ!

1 ოქტომბერს თქვენ სამშობლოს არჩევნებზე სჭირდებით!

ჩემო თანამებრძოლებო!

ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს!

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი მომავლისთვის, ჩვენი შვილების მომავლისთვის!

ჩვენი სამშობლოსთვის!

ჩვენი საქართველოსთვის!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ვეღარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ და გავაერთიანებთ ჩვენს ხალხს!

ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც აღარავის დასჭირდება ლუკმა-პურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა.

საქართველოში დაცული იქნება ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება;

სასამართლო იქნება სამართლიანი, მედია – დამოუკიდებელი, ბიზნესი – ხელშეუხებელი!

ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ჩვენს საამაყო ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ სახელმწიფოს და არა რომელიმე ხელისუფალს!

თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში!

მე ამას გპირდებით!

ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქისტები, რუსები, ბერძნები და სხვები ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რომელიც სამშობლო იქნება ყველასთვის!

საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით!

მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

პოზიცია

# საით მიჰყავთ საქართველო?



**რუსულმა საინფორმაციო სააგენტო Ino Pressa-მ, 31 აგვისტოს იტალიურ ავტორიტეტულ გაზეთ La Repubblika-დან გამოაქვეყნა მცირე სტატია სათაურით — „სკანდალი ვენეციის კინოფესტივალზე: სექსი ჯვარცმასთან“...**

ვკითხულობთ: — „ვენეციის ფესტივალზე გაიმართა ავსტრიელი რეჟისორის ულრიხ ზაიდლის ფილმის, „სამოთხე: რწმენა“ (Paradize: Faithძ წინასაპრემიერო ჩვენება“.

ფილმში ყოფილა ეპიზოდი, როდესაც მთავარი გმირი, მარია ხორფშტატერის შესრულებით, კედლიდან დიდი ზომის ჯვარცმას ჩამოხსნის, ჯერ გალოკავს (облизываетძ და შემდეგ მას იყენებს, როგორც საგანს, სექსუალური სიამოვნების მისაღებად.

თუ როგორ და სად, ამის წარმოდგენა მკითხველის ფანტაზიისთვის მიმინდვია, რომელსაც აქვე მოვუხდი ბოდიშს ამაზრზენი ნატურალიზმისთვის აქაც და ქვემოთაც თუ მომიხდა, იმისთვისაც...

**„სირცხვილი და ირონია, რომლითაც გაჯერებულია ფილმი, ამ მოკლე ეპიზოდს არც თუ შოკისმომგვრელად წარმოაჩენს ამ ყველაფრის წაკითხვასთან შედარებით. თუმცა, ეს ეპიზოდი აუცილებლად გახდება საბაბი დისკუსიებისა. მიუხედავად ამისა, იგი წარმოაჩენს ფილმის უმთავრეს თემას: რელიგიურ შეშლილობას (Одержемость), არა მხოლოდ სულიერს, არამედ ქრისტეს მიმართ ხორციელ (ПЛОТСКУЮ ЛЮБОВЬ) სიყვარულს“ — ამთავრებს სტატიის ავტორი...**

ახლა დაიწყებენ ჩვენი შინაური ლიბერასტები, რომელთა ნაკლებობას არც ოპოზიციაში უჩივიან: პერფორმანსი, ავანგარდი, გამოხატვის თავისუფლება, სენსეტიური თემა, ლიბერალური დემოკრატია და ა.შ. უცხო სიტყვებისა თუ ცნებების რახარუხს ამ გარყვნილების გასამართლებლად. თუმცა, ზემოთ ნახსენები, გარყვნილების კონტექსტშიც კი ველარ ჯდება — ეს არის იმ გრძელი ჯაჭვის ერთი რგოლი, რასაც ზოგადად კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული მასონ-გლობალისტთა შეთქმულება ჰქვია!!!

მოდით ერთად გავიხსენოთ ამ მიმართებით ჩვენი ბოლოდროინდელი მონაგარი:

**ჯერ კიდევ შარშან, ამერიკის ისტორიაში მეორე კათოლიკე და პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, ამერიკის წინაშე ჰომოსექსუალების დამსახურების შესახებ ისაუბრა და ის „დისკრიმინაციული“ კანონი გააუქმა, რომელიც პენტაგონის ჯარში პედერასტების მსახურებას კრძალავდა და უფრო მეტიც — ყოველი წლის ივნისი მსოფლიო ლგბტ (პედერასტების) თვედ გამოაცხადა, რისი პირდაპირი გამოძახილი ის იყო საქართველოში, რომ ა.წ. 17 მაისს პედერასტების პირველი პარადი მივიღეთ რუსთაველზე!..**

იგივე (ოღონდ გაცილებით დიდი მასშტაბებითძ მოხდა რიგაში, სადაც სრულიად ბალტიის ქვეყნების პედერასტებს, ამ ქვეყნებში ამერიკის ელჩები მიუძღვოდნენ წინ!!!

შემდეგ იყო ჰილარი კლინტონის სკანდალური (ჩვენთვის თორემ...ძ განცხადება, რომ აშშ-ის მთავარი საგარეო პრიორიტეტი პედერასტების უფლებების დაცვაა, ხოლო ობამამ პირდაპირ მიაბა ამერიკის ფინანსური დახმარება ამა თუ იმ ქვეყანაში პედერასტების უფლებების დაცვას!..

**მერე იყო და პენტაგონში გაიმართა ტაბუახსნილი გომიკების საზეიმო მიღება, რომელთა საერთო რაოდენობა 66 ათასი ყოფილა (და ესენი ექაჩებიან რუსეთს? პედერასტების ალებული მოსკოვი არ გეიშვა...) და აგერ, სულ ახლახანს, პენტაგონის ისტორიაში პირველად, ლესბოსელი დედაკაცი გენერლად „აკურთხეს“ — ჰა, ჰა, ჰა! ემანსიპაცია და გენდერული ბალანსი ხომ პედერასტებშიც საჭიროა?**

როგორც იტყვიან, ამავე ოპერიდან იყო რუსულ პანკ-ჯგუფთან Pussy Riot-თან დაკავშირებული სკანდალი, რის შესახებაც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა რუსი ებრაელის (!!!ძ ვლადიმერ სოლოვიოვის ვრცელი წერილი და აქ იმაზე, რაც იმ სტატიაში არ იყო:

ამ ახალგაზრდა მეძავებს ადრეც ჰქონიათ მსგავსი „პერფორმანსების“ მცდელობები, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესიის წაბილწვის ვარიანტი მას შემდეგ არჩიეს, როდესაც ინტერნეტში იხილეს კადრები, სადაც ნორვეგიის ერთ-ერთი კათოლიკური ტაძრის საკურთხეველში ქალ-ვაჟი შეიჭრა იქ სექსუალური აქტის ჩატარების განზრახვით. მათ მხოლოდ დედიშობილად გაშიშვლება მოასწრეს, რის შემდეგაც პოლიციამ დააკავა და სასამართლომ რამდენიმე ათასი კრონით დააჯარიმა მხოლოდ.

ამ კადრების ხილვა ყველას შეგიძლიათ ინტერნეტში...

**ჰოდა, სავარაუდოდ დასავლეთიდან მართულ-დაფინანსებულმა პანკ-ბოზებმაც იფიქრეს, ჩვენც მსუბუქად გადავრჩებითო, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან — „не на того напали“-ო და მართლაც, თავად რუსეთში, იქაური „ბალოტნი“ ლიბერასტების და ე.წ. ჰოუბიზნესის ვარსკვლავების (რომელთა მარაქაში, საქართველოში „ვაჟკაცობის ეტალონად“ ცნობილი გია სურამელაშვილიც გაერია) გარდა, ეკლესიის წამბილწველთ სხვა დამცველები არ გამოუჩნდათ!!!**

**სხვათა შორის Pussy Riot-ის დაახლოებითი თარგმანი, ამბოხებულ თუ მეამბოხე გენიტალიებს (სასქესო ორგანოებს) ნიშნავს...**

სამაგიეროდ, ერთხმად აიფოფრა „დემოკრატიული დასავლეთი“, რომელიც „ონავარი ცელქების“ განთავისუფლებას ითხოვდა და არა მხოლოდ ე.წ. ენჯეოები, გნებავთ ცნობილი გარყვნილი დედაკაცი მადონა და სამწუხაროდ, ჩემი თაობის კერპი პოლ მაკარტნი, არამედ სახელმწიფოთა პირველი პირებიც — ვლადიმერ პუტინის ვიზიტისას ლონდონში, პანკების ბედით თვით ბრიტანეთის პრემიერმა გამოხატა დაინტერესება, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ცნობილმა გომიკმა (!!!ძ, გვიდო ვესტერველემ, ამ ყველაფერს სამარცხვინო სპექტაკლი უწოდა...

მოცემულ კონტექსტში უთუოდ უნდა გავიხსენოთ, ამ რამდენიმე წლის წინათ, სალმან რუშდის მიერ გამოქვეყნებული კარიკატურები მუჰამედზე. უფრო სწორედ ის, თუ მაშინაც, როგორ აიფოფრა დასავლეთი ისლამის შეურაცხმყოფელის დასაცავად და დღესაც იცავენ, ამ სიტყვის უკვე პირდაპირი მნიშვნელობით, ისლამის შვილთა შურისგებისგან!

ამას დაუმატეთ ისიც, თუ როგორ წვავენ ყურანს და როგორ აშარდავენ მიცვალებულ მოჯახედებს ამერიკელი პედერასტი ჯარისკაცები და სურათი უფრო ნათელი გახდება — ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ მსოფლიო გლობალისტ-მასონები, მიზანმიმართულად ებრძვიან ისლამსა და მართლმადიდებლობას, როგორც გლობალიზაციის გაუტეხავ (ჯერჯერობითძ მოწინააღმდეგეებს!

სხვა მიმართულებებით გლობალისტებმა საწადელს მიაღწიეს — ევროპული კათოლიციზმი, როგორც ზნეობრივი შემაკავებელი ფაქტორი, პრაქტიკულად აღარ არსებობს. რისი ერთი რიგითი დასტურიც ვენეციის ფესტივალზე წარდგენილი ფილმია და ეგეც იქით იყოს — თვით იტალიაშიც კი, მიუხედავად პაპიზმისა, ერთსქესიანი ქორწინებები აღარ ითვლება ეგზოტიკად, აღარაფერს ვიტყვი დანარჩენ ევროპა-ამერიკაზე, სადაც პედერასტების უფლებები შინ თუ გარეთ უპირველესი პრიორიტეტია!

**ერთი წუთით წარმოვიდგინოთ თუ რა ამბავს ატეხავდა იგივე დასავლეთი Pussy Riot — სინაგოგაში რომ შევარდნილიყო? რას და, იგივე ხალხი, ვინც იმ პრასტიტუტების განთავისუფლებას ითხოვდა, ასეთ შემთხვევაში მათ უმკაცრესად დასჯას მოითხოვდნენ, რადგანაც საერთაშორისო სიონიზმია სწორედ მსოფლიო გლობალიზაციის მთავარი წარმმართველი ძალაც და იდეოლოგიც!**

ეს ისე, პასუხი იმ წერილში ვლადიმერ სოლოვიოვის მიერ დასმულ რიტორიკულ კითხვაზე — „რატომ არავინ გვერჩის ჩვენ — ებრაელებს“?

ყოველივე ზემოთ თქმულიდან, ერთი მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება — დასავლური ლიბერალური დემოკრატია მტკიცედ ადგას ანტიქრისტეს გზას, საითაც, სხვებთან ერთად ჩვენც, საქართველოსაც გვექაჩება. ამ გზის ბოლო კი ერთია — საუკუნო ბანაოზა ჯოჯოხეთის კუპრში!!!

სამწუხაროდ, ერთ დროს მართლაც მომხიბვლელი დასავლური ღირებულებებიდან, დღეს მხოლოდ ესღაა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის მხოლოდ ეს, გარყვნილება და უზნეობა ემეტებათ!

რუსეთის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ დაჰყვა დასავლეთის შანტაჟს და ეკლესიის წამბილწველთ საკადრისი მიუზღო, რასაც იმედია, მომავალშიც გააკეთებს, რადგან რუსული მართლმადიდებლობის სიძლიერე, ზოგადად მართლმადიდებლობის სიძლიერეც არის, მათ შორის ქართულისაც...

ბოლოს მინდა ჩვენს ადგილობრივ ლიბერასტებს მივმართო — საით ექაჩებით საქართველოს, პედერასტებით გავსებული ამერიკის (იგივე ნატოძ ჯარში? ერთსქესიანი ქორწინებების დასავლეთში? საუკუნო სულისწაწყმედის გზაზე?

„ხარება და გოგია“-დან ფრაზით გიპასუხებთ: **„ჩვენ არსადაც არ მივდივართ, აქა ვართ, გაიგეთ“?!**

დავით მხეიძე

## დედამიწის ზურგზე



პისტოლეტი, რომლითაც ყაზახეთის სასაზღვრო ნაწილში მოკლეს 15 კაცი, ბაზაში ვერ აღმოაჩინეს

**გამოძიებასთან ახლოს მყოფი წყარო ასევე ამტკიცებს, რომ ხოცვა-ჟლეტის ადგილზე აღმოჩენილი ავტომატის მასრები არ იყო 5,45 მილიმეტრის კალიბრისა, ისევე როგორც მასრები, რომლებითაც აღჭურვილია ყაზახი მესაზღვრეების იარაღი, არამედ ეს იყო ნატოს არმიის სტანდარტი — 5,56 მილიმეტრი. ოფიციალურად ეს ცნობები არ დაუდასტურებიათ.**

* * *

იაპონიის პრემიერს იმედი აქვს, რომ აირჩევენ მმართველი პარტიის ხელმძღვანელად



**21 სექტემბრისთვის დანიშნული არჩევნების მთავარი ინტრიგა არის ის, თუ რამდენად დამაჯერებელი იქნება იოსიხოკო ნოდას გამარჯვება და რამდენად შეძლებს იგი განიმტკიცოს თავისი პოლიტიკური გავლენა. იაპონიის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ადგილზე, რომელსაც სამი წლით ირჩევენ, პრეტენზიას პარტიის კიდევ სამი ცნობილი მოღვაწე აცხადებს.**

* * *

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მალის ჩრდილოეთით დაიღუპა ისლამური მაგრიბის ქვეყნებში „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი



**ალჟირელი ნაბილ სახრაუი, რომელიც ასევე ცნობილია ფსევდონომით „აბუ ოლკომა“, არის „ალ-ქაიდის“ საჰარის უდაბნოში ლიდერის მარჯვენა ხელი. მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისში ალჟირის სასამართლომ უდაბნოს ლიდერს აბუ ზეიდს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.**

* * *

ერაყში საკვირაო ტერორისტული აქტების მსხვერპლად დაახლოებით 100 კაცი იქცა, 400 დაიჭრა

**ახალი აფეთქებები: ერთბაშად სამი დანაღმული ავტომობილი და რამდენიმე თვითნაკეთი ბომბი ააფეთქეს ბაღდადში. ტერორისტული აქტები ბაღდადის გარეუბნებში მოხდა რამდენიმე საათიდან მას შემდეგ, რაც ერაყის სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა თურქეთში მყოფ ვიცე-პრეზიდენტს ტარიკ ალ-ხაშიმის.**



შაბათ-კვირის ჩანაწერები

# გზაზე ორი კაცი მიდიოდა...

ორივე ჩემი ძველი მეგობარია, **ელგუჯა ლებანიძე** რამდენიმე წელიწადია სამოცდაათს „გადაახტა“, **ბონდო დადვაძე** – ოთხმოცს უახლოვდება. მე რომ გაზეთ „კომუნისტში“ მუშაობის პატივი მხვდა, ბონდო დადვაძე იქ უკვე ფოტორეპორტიორად მუშაობდა, ელგუჯა ლებანიძე კი გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგე იყო. მთელი საქართველო იცნობდა მათ შემოქმედებას.

ელუგჯა ლებანიძის ნაწერს, მის ნარკვევებსა და ჩანახატებს იმთავითვე ეტყობოდა, რომ მათი ავტორი ქართული მხატვრული სიტყვით იყო გატაცებული და, ისე ყველაფერი აგიხდეთ, ელგუჯამ ამ თხუთმეტი წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდა (აქვე მუშაობდა!) მოთხრობები და ლექსები. მალე საერთოდ დაემშვიდობა გაზეთს და ერთიანად „ეძმო“ პროზასა და პოეზიას. არცთუ უნაყოფოდ. აქ ერთიანად გაიბრწყინა ელგუჯას ნიჭიერებამ და მალე მოთხრობების, სადიდო და საბავშვო ლექსების რამდენიმე საყურადღებო კრებული გამოსცა.




ახლა კი დროა გითხრათ, თუ რატომ ვახსენე ერთად ელგუჯა ლებანიძე და ბონდო დადვაძე. ახლახან ორივემ თავიანთი ახალგამოცემული წიგნებით დამასაჩუქრეს, რომლებიც გასულ კვირას ჩავათვალიერჩავიკითხე და რა გული მიზამდა, ერთიორი კეთილი სიტყვით არ გამოვხმაურებოდი ამ ფაქტს.

მოკლედ, ელგუჯა ლებანიძის შესანიშნავად გამოცემული წიგნი **„ვიდრე ნაფეხურები წაშლილა“** ავტორის თხუთმეტწლიანი ლიტერატურული საქმიანობის ერთგვარი შეჯამებაა, მასში შესული ბევრი ლექსი და მოთხრობა პირველად იბეჭდება. ელგუჯა ლებანიძე ამ წიგნით, თავის სათქმელით, წარმოგვიდგება მხატვრული სიტყვით ოსტატად, რაც, დიახაც სასიამოვნოა ჩვენთვის. ამ წიგნს, იმედია, გამოწვლილვით შეაფასებენ, საფუძვლიანად განიხილავენ მწერლის ლექსებსა და მოთხრობებს, მე კი, რაც გამიხარდა, ისა ვთქვი, ჩვენო ელგუჯ!

ბონდო დადვაძის წიგნი-ალბომი ძლივს ავწიე, ერთი ათი კილო მაინც იქნება, მაგრამ, რა საჩუქარი! ეს გახლავთ, ძვირფასო მკითხველო, **„ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები ავტოგრაფებით“**, რომლის შეკრებას, ჩვენმა ბონდომ ათეული წლები მოანდომა. იგი საინტერესო ბიოგრაფიის კაცია. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, წლების განმავლობაში უკრავდა სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, ჰობიოს აკვნესებდა, ანუ „დაისის“ შესავალს ბევრჯერ ბონდო იწყებდა. მერე, სად იყო და სად არა, გაჩნდა ფოტოაპარატი „ზენიტი“, გაიტაცა ფოტოგრაფიამ და მოგვიანებით მთელი ცხოვრება ფოტოხელოვნებას მოახმარა. მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში ფოტოკორესპონდენტად, იყო „საქინფორმის“ ფოტოქრონიკის მთავარი რედაქტორი, „ახალი ამბების“ ფოტოკორესპონდენტი და უამრავი გამოფენის მონაწილე ჩვენში და საზღვარგარეთ. რაც მთავარია, ბონდო დადვაძე თავისი ნიჭით და ოსტატობით, მეტყველი, ცხოვრებისეული ფოტოგრაფიით, ერთ-ერთ გამორჩეულ ფოტოოსტატად ითვლებოდა და დიდი პატივისცემითად სარგებლობდა..

ჰოდა, 80 წელი მიახლოვდებაო, და შეუკრებია ბონდოს სხვადასხვა დროს თავისი „ჩაკარტიჩკებული“ გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები, დაუხმარებია სახელგანთქმული მხატვარი და მოქანდაკე, აკადემიკოსი ზურაბ წერეთელი და პროფესორი გურამ ქაშაკაშვილი და მოსკოვში, ზურაბ წერეთლის გამომცემლობაში გამოუცია, მართლაც ძვირფასი ალბომი.

აქ ასი ფოტოპორტრეტია, ასი გამორჩეული ქართველი პიროვნების მეტყველი სახეა აღბეჭდილი, რომელთაც, რა გასაკვირია, მეთაურობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფოტო. იგი ლოცავს ფოტოოსტატის თვალსა და მარჯვენას, შემდეგ კი ვერიკოა, ღმერთო, რა სახე აქვს! აკი სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ავტოგრაფში ვერიკო ანჯაფარიძე: „ზუსტი თვალი გაქვს, ჭეშმარიტი ოსტატის“. და ასე რამდენი... ანდრია ბალანჩივაძეო, ვახტანგ ჭაბუკიანიო, ოდისეი დიმიტრიადიო, მურმან ლებანიძეო, ვასო გოძიაშვილიო, სესილია თაყაიშვილიო, ნიკო კეცხოველიო, ირაკლი აბაშიძეო, გიორგი წერეთელიო, თამაზ გამყრელიძეო, სერგო ზაქარიაძეო, ავლიპ ზურაბაშვილიო, უჩა ჯაფარიძეო, რეზო ჩხეიძეო, ჭაბუა ამირეჯიბიო... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ბონდო დადვაძე გვევლინება ფასდაუდებელ მემატიანედ, რომელსაც მადლობას არ დააკლებენ თაობები...




...გზაზე ჩემი ორი ძველი მეგობარი მიდიოდა, თან ხალხის სიყვარული მიჰყვებოდათ...

# ნამეტანი ხომ არ მოგდის „მაესტრო?!“

თუ რომელიმე ტელეარხიდან დღესდღეობით სიმართლის სხივი ჭიატობს, მათ შორის, უეჭველად, „მაესტროცაა“. „მაესტრო“ – შესანიშნავი პროფესიონალებით, თავისი საქმის „მაესტროებით“ დაკომპლექტებული გუნდი, „მაესტრო“ – პირუთვნელი სიმართლის სათქმელად, მართლაც რომ ბეწვის ხიდზე მავალი ტელეკომპანია... მაგრამ, ამ ბოლო დროს, მე მეჩვენება თუ რა არის, „მაესტროს“ საინფორმაციო პროგრამებში უკვე ნამეტანი შესამჩნევია ოპოზიციური აზრის „გაწონასწორება“, „არც მწვადისა და არც შამფურის დაწვის“ მცდელობა, შაბათს, მაგალითად, ნაცმოძრაობას რომ უდიდესი აქცია ჰქონდა და ქვეყნის თერთმეტ ქალაქში ისმოდა მათი წინასაარჩევნო ცრუ დაპირებები, „მაესტრომ“, რომ იტყვიან, სკრუპულოზურად გადმოსცა ზუგდიდიდან თბილისის სპორტის სასახლემდე განფენილი სააკაშვილის გულამოსკვნილი ღაღადისი საქართველოსა და ქართველების სიყვარულზე, გაბრწყინებულ დღევანდელ და უფრო უკეთეს ხვალინდელ დღეზე.

კი ბატონო, ვინ მამაძაღლი, საინფორმაციო საშუალებამ სწორედაც რომ ოპერატიულად უნდა გვაუწყოს ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ მომხდარი მოვლენა, მაგრამ, თქვე კაი ხალხო, რა იყო ეს თანგადაყოლა, მიშამ ვითომ რაიმე ახალი თქვა თავისი შაბათის გამოსვლებში?.. არ შეიძლებოდა ეს რეპორტაჟები უფრო სხარტად გაკეთებულიყო, არ დათმობოდა თითოეულს 10-15 წუთი და დაუსრულებლად არ მოგვესმინა ერთი და იგივე ლაქლაქი?!.

ხომ ხედავთ, თითქოს ვალის მოხდის მიზნით რომ აშუქებენ „ქართული ოცნების“ ღონისძიებებს სახელისუფლებო ტელეარხები?!

არ ვიცი, თუ მადლიერი გყავთ ვინმე, კი ბატონო!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

დედაქალაქი

# „კონკიას“ მეორე დაბადება

**უშუალოდ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამი წყალსაცავია – მათგან ერთი, ყველაზე დიდი, ხელოვნური თბილისის ზღვაა, დანარჩენი ორი კი – ლისისა და კუს ტბები – ბუნებრივი.**

არც თუ შორეულ წარსულში სამივე წყალსაცავზე გაზაფხულიდან შემოდგომამდე მრავალი თბილისელი დადიოდა ზაფხულის პაპანაქებისთვის თავის დასაღწევად. თუ თბილისის ზღვასა და კუს ტბას ბოლო წლებში პატრონი გამოუჩნდა და და იქაურობა მეტ-ნაკლებად კომფორტულად მოაწყო, ლისის ტბა ამ „სამაიაში“ კონკიასავით უპატრონოდ დარჩა, ვიდრე იქ სრულიად ახალი, თანამედროვე უბნის გაშენება არ გადაწყდა საკუთარი სარეკრეაციო ზონით.

ლისის ტბის განახლებული სარეკრეაციო ზონის შექმნა კომპანია „Lisi Development“-ს აქვს მინდობილი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მისი პრეზენტაციაც გამართა.

ლისის ტბის ერთგვარ „დაბადების დღეზე“ მისი კომპლექსის დირექტორს **ლევან ცაიშვილს** ვესტუმრეთ, რომელმაც იქაური სიახლეები გაგვაცნო.



– ტბის შემოგარენში რამდენიმე ძველი შენობა დავანგრიეთ, რომელიც ლანდშაფტს არ უხდებოდა, პლაჟისკენ მიმავალ ბილიკებზე ასფალტის საფარი დავაგეთ, – გვითხრა ბატონმა ლევან ცაიშვილმა. – ტბის ნაპირას მეთევზეთა კლუბი განთავსდება, მომავალში დაგეგმილია საცალფეხო და ხუთკილომეტრიანი ველოსიპედის ბილიკების გაყვანა. დღესდღეობით კი აქ მოსულ თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს პლაჟზე ქირით ასაღები ქოლგები, საწოლები, წყლის ველოსიპედები, ტენტიანი იალქნიანი და უიალქნო ნავები, ახალი გასართობი „ჰიდროზორბი“ (წყალზე სასიარულო ბურთიძ დახვდებათ, კომფორტული



ზონის ჩქარი კვების ობიექტი დამსვენებლებს ნაირ-ნაირ საჭმელს, ნაყინსა და გამაგრილებელ სასმელებს სთავაზობენ.

ცალკეა აღსანიშნავი პლაჟზე გამართული სამაშველო სამსახურის მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ლისის ტბის მახლობლად ძველი თერმული აბანოს მოშლამ იქაური მუდმივი სტუმრების უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ არსებული გენერალური გეგმით მის ადგილზე ახალი, თანამედროვედ მოწყობილი აბანო გაიმართება.

ლისის ტბისა და მის მიმდებარე 335 ჰექტარზე ახლო მომავალში თბილისის არქიტექტურული დაგეგმარებით ახალი ყაიდის რაიონი „მწვანე ქალაქი“ გაშენდება. მას ასევე „Lisi Development“-ი ააგებს, რომელსაც მარიამ ზალდასტანიშვილი ხელმძღვანელობს.

– მომავალი „მწვანე ქალაქისა“ და მისი სარეკრეაციო ზონისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აქაურობას თბილისის სხვადასხვა უბანთან, კერძოდ, დიღომსა და ვაშლიჯვართან ახალი კეთილმოწყობილი სამანქანო გზები აკავშირებს, – გვითხრა ქალბატონმა მარიამმა, – გარდა ამისა, გეგმაშია ასევე ტბასთან მისასვლელი ახალი გზის გაყვანა და დიდი სპორტული კომპლექსის აშენება, რომელიც მეტად მიმზიდველი იქნება კალათბურთის, ჩოგბურთის, ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობათა მოყვარულთათვის.

**ნინო ალექსანდრია,**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო


# განცხადება

**2012 წლის 31 ოქტომბერს, 14 საათზე, ქ. ფოთში, ლარნაკას ქ. №3-ში, ტერმინალის ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება შპს „სანპეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

**დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს თეთრი ნავთობპროდუქტების სარკინიგზო ტრანსპორტით მიღება, რეზერვუარებში დასაწყობება და ავტოცისტერნების საშუალებით გაცემა.**

**საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:**

- **შპს „სანპერტოლიუმ ჯორჯიას“ ოფისში – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ №34.**
- **ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის ოფისში – ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №3;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8 (95) 59-52-55; 8 (99) 16-47-05.**

**საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2012 წლის 26 ოქტომბრის 18 საათამდე.**

**შპს „სანპეტროლიუმ ჯორჯიას“ ადმინისტრაცია**

ფეხბურთი

# კოკამ წყალი მოიტანა

**„მუნდიალ-2014“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე თემურ ქეცბაიამ ერთ-ერთ შეკითხვაზე პასუხისას განაცხადა, ესპანეთმა ტიტულების ნაწილი თავდამსხმელის გარეშე მოიხვეჭა, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბელარუსთან მეც ასევე მოვიქცევი, ან მხოლოდ ერთი ფორვარდი მოხვდება, საქართველოს ეროვნული ნაკრების ტაქტიკურ სქემაშიო.**



საბოლოოდ „ჯვაროსანთა“ თავკაცმა უპირატესობა მეორე ვარიანტს მიანიჭა, თუმცა წარმატება არა მისი მოიერიშე რჩეულის მჭედლიძის ძალისხმევამ, არამედ მთელი რიგი ფაქტორების თანხვედრამ მოგვიტანა – 1:0 (ოქრიაშვილი).

მოგეხსენებათ, საფეხბურთო აქსიომის თანახმად, საიმედო მეკარე გუნდის ნახევარია. ალბათ, ძნელია გავიხსენოთ სხვა შემთხვევა, როცა გიორგი ლორია საკუთარი ძალების ასეთი რწმენით იცავდა საკუთარ სამფლობელოს, განსაკუთრებით სტუმართა ტანმაღალ შემტევებთან „მეორე სართულზე“ გამკლავებისას. რაც შეეხება ხაზზე კარგ თამაშს, ეს მისი ძლიერი მხარეა და ამიტომაც არ გაგვკვირვებია ის კატისებური ნახტომი, რომლითაც ბოლო წუთებზე გვიხსნა.

ვფიქრობ, გიორგი კონდრატიევს გადაუჭრელი პრობლემები მინდვრის სხვადასხვა მონაკვეთზე გაჩაღებულ ხისტ ორთაბრძოლებში დაშავებულმა მისმა შეგირდებმაც შეუქმნეს, რის გამოც პირველივე ტაიმში მოუხდა ორი იძულებითი შეცვლის განხორციელება. დაგვეთანხმებით, გარკვეულწილად ამანაც ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი.

სხვათა შორის, უკვე ნახსენებ პრესკონფერენციაზე „ქეცბამ“ საგულისხმო მინიშნება გააკეთა, რომელიც გამგებს უნდა გაეგო. კერძოდ, საუბარია ძველი გვარდიის ღირსეული წარმომადგენლების ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის სანაკრებო კარიერის დასასრულზე. „ისინი 15 წლის მანძილზე ასპარეზობდნენ ეროვნულ გუნდში, მათ შორის გარკვეული პერიოდის განმავლობაში – ჩემს მხარდამხარ, ამიტომ თავად უნდა შეერჩიათ შესაფერისი მომენტი და მიეღოთ ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უმძიმესი გადაწყვეტილება, თუმცა ასე არ მოხდა და ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჩემი ჩარევით მოუწიათ“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი თაობიდან „ჯვაროსნებს“ მხოლოდ ზურაბ ხიზანიშვილი შემორჩათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მწვრთნელის „ნამიოკის“ ობიექტი სწორედ ის გახლდათ, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი, თანაც ერთ-ერთ საკვანძო-საყრდენის პოზიციაზე, ამჯერად მაინც ანდო.

უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, განაპირა მცველების, უპირველესად – გრიგალავას მსგავსად, ვეტერანთა კოჰორტის უკანასკნელმა მოჰიკანმა თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას.

ასეთი იაღლიშების მიუხედავად, თავდადებისა და ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე (გაიხსენეთ დებიუტანტ თორნიკე ოქრიაშვილის მიერ ფილიგრანული დრიბლინგით გატანილი გოლი) სლავური წინაღობა კი დავძლიეთ, მაგრამ რა მოხდება დღეს მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანელებთან უთანასწორო დუელში, ძნელი სათქმელია. ვინატროთ, რომ გასახდელშივე არ წავაგოთ შეხვედრა.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# შინი, ძამიკო, შინი!

**ვისაც სპორტთან რაიმე აკავშირებს, კარგად მოეხსენება, რომ ფსიქოლოგიური ნოკდაუნიდან თავის დაღწევა ურთულესი საქმეა.**

**დაუმატეთ ამას შემჭიდროებული კალენდრისა და მომქანცველი მგზავრობის ფაქტორები, რათა წარმოიდგინოთ, როგორი მძიმე ბრძოლა ელოდა ბოსნიისგან შოკისმომგვრელი მარცხით დაღდასმულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს რიგაში, სადაც აინარს ბაგატსკისის გაწვრთნილ ლატვიის გუნდთან შეხვედრაში „ევრო-2013“-ის ფინალურ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ირკვეოდა.**

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ იგორ კოკოშკოვის დამოძღვრილი „ჯვაროსნები“ თვალსა და ხელს შუა დავაჟკაცებულან, დაბრძენებულან და ერთ მუშტად შეკრულან, რის შედეგადაც გაისად დამსახურებულად ითამაშებენ სლოვენიურ ფორუმზე, თანაც ზედიზედ მეორედ, მაგრამ წლევანდელ წარმატებას მაინც სხვა ხიბლი აქვს. მოგეხსენებათ, ლიტვურ ევრობასკეტზე მასპინძელთა და ფიბას ფეშქაშით მოვხვდით, ხოლო ბალკანეთში ჩვენივე დაღვრილი ოფლის წილ გავემგზავრებით.

**ლატვია – საქართველო 70:73**
**(13:7, 11:24, 21:17, 25:25).**



**საქართველო:** მარკოიშვილი – 17, პულენი, ფაჩულია – 15-15, ცინცაძე – 14, სანიკიძე – 7, შენგელია – 3, შერმადინი – 2 ქულა.

საკალათბურთო პრაქტიკა მოწმობს, რომ მატჩის ბედი მესამე პერიოდში წყდება, თუმცა, ბალტიისპირული დუელის ოქმი გვარწმუნებს, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა ეს სტერეოტიპი დაამსხვრიეს და საწადელს მეორე მეოთხედში მიაღწიეს, რომელიც სოლიდური სხვაობით მოიგეს.

აღსანიშნავია, რომ გარდატეხის შეტანაში მნიშვნელოვანი წვლილი ბოსნიასთან საბედისწერო შეცდომის დამშვებმა ჯეიკობ პულენმა შეიტანა, რომელმაც დიდი შესვენების წინ შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში პარტნიორებს ზედიზედ 8 ქულა შესძინა და მეტოქეთა უპირატესობა გააცამტვერა.

სხვათა შორის, გასახსენებელია კიდევ ერთი ეპიზოდი, როცა სავსებით შესაძლებელი იყო ხანგრძლივი დევნის შემდეგ დაწინაურებულ ლატვიელებს მორალურად გაეტეხათ სტუმრები, მაგრამ სანიკიძის სამქულიანით სტატუს-ქვო აღვადგინეთ (58:56) და, აქედან მოყოლებული, ღირსეულად მივიყვანეთ შეხვედრა დაუვიწყარ გამარჯვებამდე.

ჰოლანდიელებთან დღევანდელ სარევანშო თამაშს, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, მართალია, სატურნირო ინტრიგა აკლია, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ბიჭები პრესტიჟს მოუფრთხილდებიან და შთამბეჭდავად დაავირგვინებენ მომავალი კონტინენტური ბატალიების საკვალიფიკაციო რაუნდს.

**ბოსნია – რუმინეთი 93:58. ისვენებდა ჰოლანდია.**

**ბოსნია – 6, საქართველო – 5, ლატვია – 4, ჰოლანდია – 2, რუმინეთი – 1 მოგება.**

**დღეს ითამაშებენ:** საქართველო – ჰოლანდია, რუმინეთი – ლატვია. ისვენებს ბოსნია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ეტიკეტის დაცვით

# ვისენტე დელ ბოსკე: საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გუნდია



**„საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გუნდია, რომელიც ძალიან კარგ ნაბიჯებს დგამს სამომავლოდ“, – ამის შესახებ სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ განაცხადა.**

მისივე თქმით, საქართველო სერიოზული მეტოქეა და ესპანელი ფეხბურთელები დღეს თბილისში გასამართი მატჩისთვის საკმაოდ მოტივირებულები არიან.

„ესპანეთის ნაკრები ოპტიმალურ მდგომარეობაშია, ფეხბურთელები კარგ ფორმაში იმყოფებიან და არიან მოტივირებულები, ითამაშონ ის თამაში, რა თამაშსაც ვართ მიჩვეულები. ჩვენი სტილი შენარჩუნებული იქნება მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გუნდია, რომელსაც თავისი სტილი აქვს და ის სერიოზული მოწინააღმდეგეა“, – განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ.

ნაკრების ხვალინდელ შემადგენლობაში, თუ საჭირო იქნება, ჩართავს ძირითად ბირთვსაც, რათა გუნდის წარმატება ეჭვქვეშ არ დადგეს – ესეც მისი სიტყვებია.

„მატჩის შესახებ არსებულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენივე თამაშით შევეცდებით“, – განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ.

მისი თქმით, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს პედრო, ხოლო ფერნანდო ტორესს დავიდ ვილიათი ჩაანაცვლებს.

* * *

**ესპანეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა საქართველო-ესპანეთის მატჩის წინ სასტუმრო „რედისონში“ პრესკონფერენცია გამართეს.**

**როგორც ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა იკერ კასილიასმა აღნიშნა, საქართველოსთან თამაშისთვის ვისენტე დელ ბოსკეს გუნდი ძალიან მოტივირებულია.**

„ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ ეს შეხვედრა წარმატებით დავასრულოთ. ძალიან საინტერესო თამაში გამოვა. სასტარტო მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია და აქ გამარჯვება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად. ჩვენ სამ ქულას ვგეგმავთ“, – განაცხადა იკერ კასილიასმა.

მისივე თქმით, ესპანელები ქართველთაგან სამ ფეხბურთელს გამოყოფენ.

„ესენი არიან ლორია, ანანიძე და ოქრიაშვილი. ჩვენ ვნახეთ მათი თამაში და სწორედ აღნიშულ ტრიოს გამოვარჩევდით“,– აღნიშნა კასილიასმა.

ხავის თქმით კი, საქართველოს ნაკრები სერიოზული მეტოქეა და მისი გუნდის წევრები ეცდებიან, რომ ბოლომდე დაიხარჯონ.

„ჩვენი თამაშის სტილი არ შეიცვლება და ვითამაშებთ ისევე, როგორც ვთამაშობდით ევროპის ჩემპიონატზე. საქართველო სერიოზული მეტოქეა და ჩვენი მოტივაცია ძალიან მაღალია. გარკვეულწილად დომინანტები ვართ, თუმცა მიუხედავად ამისა, ბოლომდე დავიხარჯებით“, – განაცხადა ხავიმ.



პრესკონფერენციის შემდეგ ფეხბურთელებმა სასტუმრო „რედისონი“ დატოვეს და „თბილისი მარიოტში“ გაემგზავრნენ.

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები ესპანელებს დღეს შეხვდება. თამაში „დინამო არენაზე“ 21:30 საათზე დაიწყება.

ჭიდაობა



# ოქროს ვერ შევწვდით

**გასულ უქმეებზე ტაილანდის ქალაქ პატაიაში ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში ქართველი ფალავნებიც მონაწილეობდნენ მთავარი მწვრთნელის – ნუგზარ სხირელის ხელმძღვანელობით. ასპარეზობის პირველ დღეს ხალიჩაზე ოთხი ჩვენებური გავიდა, კვარცხლბეკზე ასვლა კი მათგან მხოლოდ ერთმა მოახერხა: 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძალებს ცდიდა ჯუმბერ ყველაშვილი.** ქართველმა მოჭიდავემ უნგრელი ისტვან გულიასი დაამარცხა (3:1, 2:0), შემდეგ ეგვიპტელ მუჰამედ ალი ზაგლულს დააყრევინა ფარ-ხმალი (3:2, 5:3), მეოთხედფინალში თავად დამარცხდა აჰმედ დუდაროვთან (გერმანია) – 2:4, 4:6. დამამშვიდებელ ჯგუფში კი ჩინელ ქინ იანს (2:0, 6:0) და აზერბაიჯანელ ელხან უსუპზადას აჯობა (2:0, 1:1), რითაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შეჯიბრების დასკვნით დღეს ნუგზარ სხირელის შეგირდებმა ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“ დაიმსახურეს. 55 კილოში ლაშა ტალახაძემ ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან. ამერიკელი ჯო დანსი (5:1, 1:0), ესტონელი ალექსეი ბასკაკოვი (6:2, 7:0), სომეხი არტაკ ჰოვანისიანი (4:1, 4:3) და იაპონელი ფუმიტაკა მორიშიტა (5:3, 4:7, 5:3), მხოლოდ გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო მონღოლ ბეხბაიარ ერდენბატთან და ვერცხლის მედალი ერგო. მსგავსი გზა გაიარა 66 კილოში კონსტანტინე ხაბალაშვილმა – იოლად აჯობა სამ მეტოქეს: ავსტრიელ გეორგ მარჩლის (5:0, 9:0), ყირგიზ ულუკმან მამატოვს (1:0, 2:0), სომეხ დავიდ აპოიანს (3:2, 7:0) და მხოლოდ ფინალი დათმო სამ პერიოდში (1:1, 2:0, 0:1) მაგომედ ყურბანალიევთან.

მეოთხე მედალი საქართველოს ნაკრებს წინა წლის მსგავსი შეჯიბრების პრიზიორმა გენო პეტრიაშვილმა (120 კგ) მოუტანა. ჩვენებურისთვის პირველი ორი წრის გავლა იოლი აღმოჩნდა – მონღოლი იუნბოლდ ენხტუგსი (6:3, 6:0) და ეგვიპტელი ქამალ დიაელდინი (2:0, 6:0) დაჯაბნა, მაგრამ ნახევარფინალი რუსეთელ მაგომედგაჯი ნურასულოვთან წააგო (4:4, 2:3). მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი კანადელ სანი დინსას კვარცხლბეკზე ასვლის ყოველგვარი შანსი გადაუწურა – 3:2, 3:0.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი



# სტამბოლი მეზობლებმა აიღეს

**საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟებმა წარუმატებლად დაასრულეს მე-40 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელსაც სტამბოლმა უმასპინძლა. მართალია, ჩვენმა მანდილოსნებმა ბოლო ტურში ესპანელებს 2,5:1,5 მოუგეს, მაგრამ საქართველოს ნაკრებისთვის (ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნინო ბაციაშვილი, კაპიტანი ნინო გურიელი) ეს მხოლოდ კარის გაჯახუნება იყო, რადგან 15 ქულით მისთვის უჩვეულო მე-8 ადგილი დაიკავა.** ჩვენს გუნდში სხვებზე უკეთ ნანა ძაგნიძე გაისარჯა, რომელმაც 8 პარტიიდან 6 ქულა მოაგროვა, პირველ დაფაზე მხოლოდ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთიძ ჩამორჩა და ვერცხლის მედალი ერგო. გუნდის დანარჩენ წევრთა მონაგარი კი ასეთია: ბელა ხოტენაშვილი – 6,5 (10-დანძ, ლელა ჯავახიშვილი – 5 (9ძ, ნინო ხურციძე – 5 (9ძ, ნინო ბაციაშვილი – 6 (8ძ. ნაკრების დებიუტანტი ბაციაშვილი დამატებითი მონაცემებით სათადარიგოებში მეოთხე იყო.

ოლიმპიადის მე-11 ტურში მორიგი გამარჯვებები იზეიმეს რუსებმა და ჩინელებმა, რომლებსაც აქტივში 19-19 ქულა აღმოაჩნდათ. უკეთესი მაჩვენებლებით პირველობა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ხვდათ, რომლებმაც ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს. 18 ქულით მესამე ადგილზე უკრაინის ნაკრები გავიდა. დაფების მიხედვით კი მცირე ოქროს მედლები ჰოუ იფანმა, ჟაო სიუმ (ორივე – ჩინეთიძ, ნადეჟდა კოსინცევამ (რუსეთიძ, ჰუან ქიანმა (ჩინეთიძ და ნატალია პოგონინამ (რუსეთიძ მოიპოვეს.

ვაჟთა ტურნირიც 19-19 ქულით დაამთავრეს სომხებმა და რუსებმა, ჩემპიონობის ბედი აქაც კოეფიციენტმა გადაწყვიტა ჰაოსელთა სასარგებლოდ. რუსები „ვერცხლს“ დასჯერდნენ. ბრინჯაოს მედალი წინა ოლიმპიადის ჩემპიონებმა – უკრაინელებმა დაიმსახურეს. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა (მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, თორნიკე სანიკიძე, ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა, კაპიტანი ლაშა ჯანჯღავაძ ბოლო ტურში დანიელებთან წააგო და 13 ქულით 36-ე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ დებიუტანტ შანავას სათადარიგოებში ბრინჯაოს მედალი ერგო. დაფების მიხედვით პირველი ადგილები ლევან არონიანმა (სომხეთიძ, დავით ნავარამ (ჩეხეთიძ, შაჰრიარ მამედიაროვმა (აზერბაიჯანიძ, ვლადისლავ ტკაჩიევმა (საფრანგეთიძ და დმიტრი იაკოვენკომ (რუსეთიძ დაიკავეს.

ქალ-ვაჟთა გუნდების საერთო მონაპოვრით ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის თასი რუსეთის გუნდს ერგო. მეორე-მესამე ადგილები ჩინელებმა და უკრაინელებმა გაინაწილეს.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# ამერიკული სერენადა



**ჩოგბურთელ დებს – ვინუს და სერენა უილიამსებს ნებისმიერ ტურნირში ფავორიტებად მიიჩნევენ და სრულიად სამართლიანად. დასტურად ლონდონის ოლიმპიური თამაშები და ამერიკის ღია პირველობაც გამოდგება.** ნიუ-იორკში სერენამ ექვსი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან და ფინალში გავიდა, სადაც რეიტინგით პირველ ნომერ ვიქტორია აზარენკას (ბელარუსიძ დაუპირისპირდა. პირველი სეტი სერენამ ძალების დაუძაბავად მოიგო – 6:2. მეორე ხელიც ასეთივე ანგარიშით დასრულდა, ოღონდ ამჯერად ბელარუსმა იმარჯვა. ჩოგბურთელ ქალთა ლიდერი მესამე გადამწყვეტ სეტსაც იგებდა 5:3-ს, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეძლო ძალების მობილიზება, აზარენკას ზედიზედ ოთხი გეიმი აართვა და 7:5 მოიგო. სერენა უილიამსისთვის ეს მე-15 დიდი სლემია, აქედან მესამე მშობლიურ ფლეშინგ მედოუს კორტებზე მოხვეჭილი.

**გივი გაგუა**

ხსოვნა

# ზაირა პირტახია

კიდევ ერთი დიდი ტკივილი და მწუხარება განიცადა აბაშის საზოგადოებამ.

კიდევ ერთი დიდებული ქალბატონი გამოეთხოვა ამქვეყნიურ ცხოვრებას.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, გამოცდილი, პროფესიონალი ექიმი, დახვეწილი ინტელიგენტი, სიკეთითა და ქართველი ქალის ღირსებით შემკული პიროვნება **ზაირა ივანეს ასული პირტახია.**



ოჯახმა დაკარგა შესანიშნავი დედაბოძი, კოლეგებმა, მეგობრებმა – ულალატო თანამდგომი, საზოგადოებამ – ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ზ.ი. პირტახია დაიბადა 1938 წელს ზუგდიდის რაიონში. საშუალო სკოლა დაამთავრა ქალაქ ცხაკაიაში (დღევანდელ სენაკშიძ მედალზე და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიულ ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ხობის რაიონის პოლიკლინიკაში უბნის პედიატრად. ხოლო 1966 წლის სექტემბრიდან მუშაობს აბაშის სამშობიარო სახლში მიკროპედიატრად. აქვე შექმნა ოჯახი რაიონში კარგად ცნობილ პიროვნებასთან ავთანდილ ცანავასთან ერთად.

1978 წელს მიენიჭა პირველი კატეგორიის ექიმის, ხოლო 1982 წელს „ჯანდაცვის წარჩინებულის“ წოდება.სტუდენტობის წლებში არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრაზე სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. არის არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი.

1980-90 წლებში მუშაობდა აბაშის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ. იყო 3 მოწვევის პედიატრთა ყრილობის დელეგატი. მიღებული აქვს მედლები და სიგელები. 1984 წელს მიენიჭა „შრომის ვეტერანის“ წოდება.

განსაკუთრებით გულსატკენია ის, რომ ახლახან დაჯილდოვდა ღირსების ორდენით და მის მიღებას ვერ მოესწრო.

ქალბატონმა ზაირამ მთელი თავისი ძალა და ენერგია უშურველად მოახმარა პატარების ჯანმრთელობის დაცვას. იგი მუდმივად ატარებდა იმ მუხტს, რომელიც თავის თავში გულისხმობდა მხოლოდ, დღენიადაგ აემაღლებინა ცოდნა, რათა ქვეყანას ჰყოლოდა ჯანსაღი მომავალი თაობა.

მისთვის არ არსებობდა დრო და მოუცლელობა, როდესაც ვინმეს სჭირდებოდა მისი დახმარება, თავად აკეთებდა ყველაფერს, მანამ არ მოსცილდებოდა, სანამ არ ჩათვლიდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. ამიტომ უყვარდა ყველას, პაციენტებსა და მათ მშობლებს, მეზობლებს, კოლეგებს, სანათესაოს. სადაც შევიდოდა ყველგან იმედი შეჰქონდა და სანაცვლოდ მხოლოდ სითბო და უდიდესი სიყვარული იყო მისი მასპინძელი.

ქალბატონ ზაირას ყოველი შეხვედრა, მისალმება, განსხვავებული იყო, მაღალი კულტურა იგრძნობოდა მის ურთიერთობასა და ქცევაში. მას ამშვენებდა გამორჩეული თავმდაბლობა, ადამიანებისადმი თანადგომისა და მათთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი. ყველაზე მზრუნველი სხვისი ავ-კარგით ცხოვრობდა.

უყვარდა პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება. ქალბატონ ზაირას ყოველი გამოსვლა საზოგადოების წინაშე თუ სტატიები პრესის ფურცლებზე, ფრიად განსწავლულობის, ნიჭიერებისა და გონებამახვილობის მაგალითი იყო. დისკუსიებში ბრძნული ფრაზებითა და გასაოცარი ლოგიკით ანცვიფრებდა ყველას. შეუდარებელი სტუმართმოყვარე, დიასახლისი, სამაგალითო მეუღლე და შვილების აღმზრდელი, შვილიშვილებზე, ოჯახზე გადაგებული პიროვნება. აი, ასეთი იყო ყველასთვის უსაყვარლესი ქალბატონი ზაირა პირტახია. ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან, კვდებიან, მაგრამ არ ქრებიან და დავიწყებას არასოდეს ეძლევიან.

ისე იცხოვრა, ღირსება და პატივი არ მოეკლებია. ჩუმად და უხმაუროდ წავიდა დაუდგრომელი, დიდი ენერგიისა და შემართების მქონე ქალბატონი. ის ჯერ კიდევ სჭირდებოდა ქვეყანას.

ქალბატონ ზაირას სახელი და ღვაწლი არასოდეს გაუფერულდება და მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია. გვწამს, იმქვეყნიურ გზას გაუნათებს მისი კეთილშობილება, სინდისი და პატიოსნება და სამოთხეში დაიმკვიდრებს სასუფეველს.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულო და გამგეობა

---

ძმები დემური, სოსო, ძმისწულები გიორგი, ლევანი, ბექა, ნინო ინჯიები, რძლები ლალი ბლიაძე, ქეთევან მასხულია, თამარ ბიგანიშვილი, მული მზია არევაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზოია (მზია) სერგოს ასული ინჯია**

პანაშვიდი 11, 12 IX, 16 სთ. მის: ნუცუბიძის მე-4 მ/კრ, კორპ. 17, ბინა 127, მე-12 სართული. გამოსვენება 13 IX, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოსთან მდებარე ამაღლების ეკლესიიდან.

---

ავთანდილ იაშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, კოტე სამუშია, თეიმურაზ ბერიშვილი, ნუგზარ კვიკვინია, ნუგზარ ბენდიაშვილი, ლევან კიკნაძე, თორნიკე აფაქიძე, ზურაბ ზუმბაძე, გენო შეროზია, რეზო სახოკია, პავლე გიორგობიანი თანაუგრძნობენ დემურ, სოსო, ფრიდონ, დავით ინჯიებს

**მზია სერგოს ასულ ინჯიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ემილ მიქაია ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს დემურ და სოსო ინჯიებს დის

**მზია ინჯიას**

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფრიდონ, დავით ინჯიებს ბიძაშვილის

**მზია ინჯიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ და შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ დემურ, სოსო ინჯიებს დის

**მზია ინჯიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

კავშირგაბმულობის კომპანიების – „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ დემურ, სოსო, ლევან, ფრიდონ, დავით ინჯიებს და მათ ოჯახებს კეთილშობილი და სათნო ქალბატონის

**მზია (ზოია) ინჯიას**

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის კომპანიების – „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კადრების მენეჯერი კეთილშობილი და სათნო ქალბატონი

**მზია (ზოია) ინჯია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**დევი უგრეხელიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
29 9-62-77; 59 9 32-85-76.

## სულიერება

# პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა — იოანეს თავისკვეთა



**11 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იოანე ნათლისმცემელის თავის კვეთას აღნიშნავს, 12 სექტემბერს კი ამ დღესასწაულის წარგზავნაა.**

**...ცნობილია იოანეს სიტყვები, რომლითაც ის ჰეროდეს მიმართავდა: „არა ჯერ არს შენდა, ვითამცა ცოლად გესვა ძმის ცოლი შენი"... მეფე ჰეროდე ამ სიტყვებისთვის ვერაფერს უშავებდა იოანეს, რადგან იოანე ერს უყვარდა, წინასწარმეტყველად მიიჩნევდა მას, მეფეს კი ძალიან ეშინოდა ერისა.**

იოანე ნათლისმცემელი სასწაულებს არ სჩადიოდა, მაგრამ ორლესულივით სიტყვა ჰქონდა, მრავალი მოაქცია და დააფიქრა ცოდვებზე... მრავალგზის სთხოვა ქმარს ჰეროდეადამ იოანეს დასჯა, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია. ქალი მარჯვე შემთხვევას ეძებდა წმინდანის მოსაკლავად, ეს დღეც დადგა. შუაღამისას დარბაზში ჰეროდეადას ასული ცეკვით შემოვიდა, მისით აღტაცებულმა ჰეროდემ სთხოვა, ერთხელ კიდევ ეცეკვა და აღუთქვა სანაცვლოდ რაც გინდა, მთხოვე და შეგისრულებო. ასულმა დედას მიაშურა რჩევისთვის, ჰეროდეადამ ასწავლა: „იოანე ნათლისმცემელის მოკვეთილი თავი სთხოვეო. სათხოვარმა შეაწუხა ჰეროდე, მაგრამ ფიცის გატეხა ითაკილა და დათანხმდა. ბრძანა თავი მოეკვეთათ ნათლისმცემელისთვის და ლანგრით მიერთმიათ ქალისთვის.

მსახურებმა მაშინვე შეასრულეს ბრძანება, და... ლანგრით, რომლითაც კერძები შემოჰქონდათ, წმიდა იოანეს მოკვეთილი თავი შემოიტანეს. ამ დროს სასწაული მოხდა: წინამორბედის მოკვეთილმა თავმა ლაპარაკი დაიწყო და კვლავ ამხილა მეფე... გამძვინვარებულმა ჰეროდეადამ ნემსით დაჩხვლიტა ნათლისმცემელის ენა.

იოანეს სხეული მისმა მოწაფეებმა სებასტიაში გადამალეს, მისი პატიოსანი თავი კი ჰეროდეს ეზოს მოძღვარმა და მისმა ცოლმა ნელსაცხებლით გაწმინდეს და დიდი სასოებით მოეპყრნენ.

**გიული ლიპარტია**

## ადამიანი საზოგადოებაში

# ვინაა, ბატონო, შეშლილი?!

**გენიოსებისთვის ათასი მანკიერების — ლოთობიდან მოყოლებული სიგიჟემდე დაბრალების ტრადიცია იტალიელი ექიმ-ფსიქიატრის ჩეზარე ლობროზოსგან მომდინარეობს, რომელმაც ამ ჭეშმარიტად დიდ ხალხს დიაგნოზი ბესტსელერად ქცეულ წიგნში „გენიალობა და შეშლილობა" დაუსვა.**

ამ მონოგრაფიაში ლობროზო ერთი მხრივ ამტკიცებს, რომ გენიოსები ნევროზულობით და თავქარიანობით გამოირჩევიან, მეორე მხრივ კი იმის არაერთი მაგალითი მოჰყავს, როცა შიზოფრენიკები და მანიაკები უცებ მანამდე მათთვის უცხო მხატვრულ ნიჭს ავლენდნენ.

„არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ნერვული შეტევისას შეშლილსა და გენიალურ ადამიანს შორის, რომელიც თავის დიდებულ ნაწარმოებს ჰქმნის, სრული მსგავსებაა", — ეს უაპელაციო განაჩენი ლობროზომ მიქელანჯელოს, გოეთეს, შექსპირს, ბაირონის, ჩელინის და ასეულობით სხვა გენიოსს გამოუტანა.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ცოტა ხნის წინათ მკვლევართა კომპეტენტურმა ჯგუფმა დათვალა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე კაცობრიობას სხვადასხვა სფეროში დაახლოებით ასი ათასი გენიოსი ჰყავდა. ამდენად, ჩეზარე ლობროზოს 150 წლის წინანდელი დაუნდობელი ვერდიქტი სწორედ ამდენ ხალხს ეხება.

არადა, მოსკოვის ფსიქოთერაპიის აკადემიის პრეზიდენტის, ექიმ-ფსიქიატრის მიხეილ ბუიანოვის აზრით, საქმე სულ სხვაგვარად არის.

— ბევრი ცნობილი პიროვნებისთვის მიმკურნალია — მსახიობებისთვის, მწერლებისთვის, მხატვრებისთვის, მუსიკოსებისთვის, რომლებთან ურთიერთობისას თითქოს უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ისინი „მთლად სადღ ჭკუაზე" არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მრავალწლიანი პრაქტიკის მანძილზე დავრწმუნდი, რომ ეს ასე არ არის, — ამბობს დოქტორი ბუიანოვი.

კიდევ ერთი მიზეზი კი, რომელმაც მას ჩეზარე ლომბროზოს დიაგნოზის ანულირებისკენ უბიძგა, თანამედროვე ფსიქიატრიაში ბოლო წლებში მომხდარი ცვლილებებია. საქმე ის არის, რომ დიაგნოზის სიზუსტე მედიცინის განვითარების დონეზეა დამოკიდებული.

დაახლოებით 300 საექიმო სპეციალობიდან, ფსიქიატრია ყველაზე ახალგაზრდაა. იგი, ფაქტობრივად, 1792 წლის 25 ოქტომბერს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქვემეხების გრიალის თანხლებით დაიბადა, როცა ცნობილმა ფრანგმა ფსიქიატრმა ფილიპ პინელმა სულით ავადმყოფებს ჯაჭვები ახსნა, რითაც ფსიქიატრიული დაწესებულებები ციხეებიდან საავადმყოფოებად გადააქცია. კლინიკურმა ფსიქიატრიამ კი, ანუ სულის სნეულების აღწერამ, განვითარება მოგვიანებით დაიწყო. ამდენად, 1863 წელს, როცა 28 წლის ჩეზარე ლომბროზოს წიგნი გამოვიდა, სპეციალისტებმა არც მაინცდამაინც ბევრი იცოდნენ, ამიტომაც ახალგაზრდა სპეციალისტის დასკვნები და დაკვირვებანი უფრო საილუსტრაციო, ვიდრე სამედიცინო ხასიათისაა.

**თამარ გოგიაშვილი**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „ნაციონალებს არჩევნები უკვე მოგებული აქვთ"

— იმედს გვიწურავს „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა, — ის კონფიგურაცია, რაც არის დღეს, ნაციონალურ მოძრაობას აძლევს სრულ, ასპროცენტიან გარანტიას, რომ ზურაბ ხარატიშვილი დაწერს ოქმს, რომელშიც ჩაეწერება 55 პროცენტი — ნაციონალური მოძრაობა. ამას წყალი არ გაუვა. ახლა იცით რა სიტუაციაა — ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარიაო... დღეს ამაზე ყურს არავინ იბერტყავს და ოქტომბერში ატყდება ვიშვიში. მე მგონია, ვინც 2 ოქტომბრიდან ატეხავს ვიშვიშს, ისინი არიან ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრულები... თუ ეს ხელისუფლება არჩევნებს არ გააყალბებს და თუ ამერიკული დემოკრატიაც ჩვენს მხარეზეა, მაშინ როგორ ხდება, რომ ეს გრინბერდი, ენდიაი, აირაი, ესენიც პუტინის ორგანიზაციები ხომ არ არიან? ვისი ორგანიზაციებია — პუტინის თუ ამერიკული? ხომ ხედავთ, რა შედეგებს წერენ ისინი? როგორც ისინი წერენ, იმას დაწერს ხარატიშვილიც.

**„ახალი თაობა"**

### „შეჩვეული ჭირის ფაქტორი ხალხში აღარ მოქმედებს"

— ამბობს ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი „ქართული აკადემიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ნუკრი ქანთარია, — თუ კარგად დავუკვირდებით, თავშეკავებულთა რაოდენობა 43 პროცენტია. „ნაციონალების" მომხრე არ იტყვის იმას, რომ თავს იკავებს პასუხისგან. 12 პროცენტი რომ დაგვიწერეს, გასაღიმებელია, რადგან მთელი საქართველო დგას ფეხზე. თუ ამას დავუმატებთ თავშეკავებულთა რაოდენობასაც, 5 პროცენტის ცდომილებით, რეალურ ციფრს მივიღებთ.

**„რეზონანსი"**

### ვინ „დააყადაღა" სასკოლო წიგნები?

ახალი სასწავლო წელი ერთ კვირაში იწყება. ამ დროს, მშობლებსა და მასწავლებლებს სასკოლო სამზადისი უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეთ. ნებისმიერი მშობელი დაგვეთანხმება, რომ ყველაზე მძიმე ტვირთი, ფინანსური თვალსაზრისით, ამ დროს სახელმძღვანელოების შეძენაა. ფასები იმგვარად გადაანაწილეს, რომ ერთი სახელმძღვანელოს მაქსიმალური ფასი 10 ლარზე მეტი არ ყოფილიყო. სამაგიეროდ, გააძვირეს ის, რომელიც შედარებით იაფი ღირდა, ან ერთი წიგნი რამდენიმე ნაწილად გაყვეს, რომლის ერთი ნაწილი 10 ლარზე ძვირი არ ღირს, მაგრამ საერთო ჯამში ბევრად მეტი ჯდება.

**„კვირის პალიტრა"**

### დამთავრებულია ყველაფერი! დამთავრებულია სააკაშვილი!

— სჯერა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძეს. იგი საუბრობს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ და ბევრ რამეს იხსენებს:

„სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ნარკობიზნესში ჩართული იყო პეტრე ცისკარიშვილი! ის სწორედ იმიტომ გაიტაცეს, რომ პანკისიდან წამოღებული ჰქონდა საქონელი, რომელშიც ფული არ გადაიხადა... პანკისური კრიმინალური დაჯგუფებები და კერძოდ, ვეფხია მარგოშვილი დაკავშირებული იყვნენ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ე. წ. რეფორმისტთა ჯგუფთან, რომელიც დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეშია...

**„ასავალ-დასავალი"**

### „29 სექტემბრის მანიფესტაციის შემდეგ არ უნდა დაიშალოს მიტინგი"

— ყველა უნდა დაელოდოს არჩევნების შედეგების გამოცხადებას, — მიაჩნია წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს სოსო მანჯავიძეს, — ხელისუფლებას ხელთ უპყრია გაორმაგებული საარჩევნო სიები. ეს თვით დავით უსუფაშვილმაც აღიარა, რომ 700 ათასი ხმით მანიპულირება შეუძლია ხელისუფლებასო. თუ ეს ასეა, ჩვენ რა უნდა გვექნა იმისთვის, რომ ეს მანიპულირება შეუძლებელი ყოფილიყო?

**„ქრონიკა"**

## ანეკდოტები

**დედა** ეკითხება შვილს:

— შვილო, სად გაქვს დღიური?

— ჩემს კლასელს ვათხოვე, მითხრა, მშობლები უნდა შევაშინოო.

* * *

**ნაბახუსევ** მიხოს მარო თავს დასტრიალებს. ცდილობს რამეთი ასიამოვნოს:

— მიხო, ბორჯომი გინდა?

— არა.

— იქნებ, ნაბეღლავი გესიამოვნოს?

— არა.

— გინდა კომპოტი გაგიხსნაა?

— არ მინდა, თავი დამანებე.

— კაცო, — არ ეშვება მარო — ხომ არ გავიხადო?

— ხო, გაიხადე, გაიხადე, იქნებ გული მაინც ამერიოს.

* * *

**სასაფლაოზე** ქალი ტირის. უცბათ გაჩუმდა, ოდნავ სახეც გაუნათდა და ჩაილაპარაკა:



— მეცოდინება მაინც ღამეს სად ათევს.

**დედა** ეუბნება შვილს:

— შეჭამე საჭმელი თორემ ბუა მოვა.

— შენ გგონია ბუა შეჭამს ამ საზიზღრობას?!

* * *

**ცოლი** დიდხანს ათვალიერებდა საკუთარ თავს სარკეში. მერე მიუბრუნდა თავის ქმარს და მიაძახა:

— მეტის ღირსი მაინც არ ხარ!

* * *

**ეზოდან** ბავშვი ყვირის:

— ნინო დეიდა, ნინო დეიდა!

ნინო დეიდა ფანჯრიდან გადმოიხედავს.

— ნინო დეიდა, თქვენი თორნიკე განავალს ჭამს.

— უთხარი ბევრი არ ჭამოს, მერე საჭმელს ველარ შეჭამს.

* * *

**ადამი** გვიან დაბრუნდა. ევა ეჩხუბება:

— ვისთან ბრძანდებოდი, საყვარელი გყავს ხომ?

— ევა, ხომ იცი ჩვენ სამოთხეში მხოლოდ ორნი ვართ.

მაგრამ ევა მაინც ყოველღამე ადამს ნეკნებს უთვლიდა.

## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაძე 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24